კვირა, 1917 წ. ენკენისთვის 3 (16)

წელიწადი მესამე

ფასი 15 კაპ.

საქართველო

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ Сакартвело.
ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. **დაუბეჭდავი** საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღია არის დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

კ ო ნ ტ ო რ ა

გაზეთის ფასი პირველ ენკენისთვიდან წლის დამლევამდე 12 მან. ერთი თვით (მხოლოდ თბილისში) 3 მან. ცალკე № 15 კაპ. **განცხადების** ფასი [illegible] პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. **სამგლოვიარო განცხადება** თითოეჯერ ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. **მისამართის გამოცვლა** ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1 მანეთი **ფული და წერილები**, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. **საჩქარო განცხადებანი** უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. **კონტორა ღიაა** დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

№ 194 ეროვნულ-დემოკრატიული გაზეთი № 194

გაზეთის შინაარსი

საგულისხმო ცნობები

ყაზახთა მეამბოხე გენერალი კალედინი გადააყენეს და სასამართლოში მისცეს.

ოფიცერთა კავშირი კორნილოვს უჭერს მხარს.

ფინლანდიაში ორი კონტრ-რევოლუციონერი გენერალი და 7 ოფიცერი მოჰკლეს.

გენერალი კრილოვი გარდაცვლილა.

წერეთელი სრულიად რუსეთის დემოკრატიულ ყრილობის მოწვევას მოითხოვს.

პენლევემ საფრანგეთის ახალი სამინისტრო შეადგინა.

ციმბირის ავტონომიის პროექტი.

საეკლესიო კრების „ნაკაზი“.

წერილები

მეთაური—მობილიზაცია და საქართველო.

რ. ინგილო—კონტრ-რევოლუცია და ახალი მთავრობა.

დ. კასრაძე—ქართული სოფელი.

რუსული პრესა: ,,სოციალიზმი რუსეთში‘‘.

დ. ვედრებისელი—ჩემი დღიური.

მ. ჯანაშვილი—,,ალავერდი‘‘.

კორესპონდენცია: სამაჰმადიანო საქართველოდან და ქართლიდან.

გაზეთ ,,საქართველოს‘‘

კონტორისაგან

რადგანაც დღითი-დღე სიძვირე

მეტის-მეტად მწვავე ხასიათსა ღებულობს, იძულებული ვართ, გაზეთის ფასსაც დროებით მოუმატოთ,

გაზეთის თითო ნომერი ღირს 15 კაპ.

წლიური ხელის მომწერლებმა ხელის მოწერის ფასი უნდა შეასრულონ 21 მანეთად, რომელიც უნდა გადახდილ იყოს 15 სექტემბრამდე. ვინც ამ ხნის განმავლობაში ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გზავნა მოესპობა. 1 ენკენისთვიდან გაზეთის ფასი იქნება თვეში 3 მან.

ქალაქ გარეთ ხელის მომწერთ ვთხოვთ ფულის გამოგზავნის დროს ბანდეროლის ნომრის აღნიშვნას.

კვირას, სამს ამა ენკენისთვეს კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე გადახდილი იქნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი უდროოთ გარდაცვლილ თბილისის მე 4 გიმნაზიის მე-6 კლასის მოწაფის

გიორგი ვლადიმერის ძე

ალაფიძისა

რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დამწუხრებულნი დედა მართა დარისპანის ასული, ძმა ივანე ვლადიმერის ძე და ოლღა ვლადიმერის ასული, რძალი ელენა დავითის ასული და დეიდა ელენტია დარისპანის ასული აბაშიძისა. პანაშვიდი დაიწყება 11 ნახევარ ს.
1—774—1

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის

X და XII უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ **კვირას**, 3 სექტემბერს დილის 10 საათზე

ახალ საკრებულოს შენობაში (ყოფილი ხარფუხ. კლუბი)

დანიშნულია პარტიის წევრთა და თანამოაზრეთა

კ რ ე ბ ა.

კრებაზე მოხსენებას წაიკითხავს შ. ქარუმიძე თანამედროვე მომენტის შესახებ. ამხანაგი გ. გიორგი ყურული აუხსნის საზოგადოებას ქალაქის თვითმართველობის განყოფილებათა უბნებში დაარსების საჭიროებას და მათ მნიშვნელობას. შემდეგ მოხდება საუბნო კომიტეტის ხელ-ახალი არჩევა.

კვირას, 3 ენკენისთვეს, დილის 10 საათზედ (ძ ვ ლ დროზე) სახალხო სახლში დანიშნულია მომხმარებელთა საზოგადოება

,,ალორძინება‘‘-ს

წევრთა წლიური საზოგადო კრება.

დღის წესრიგი: 1) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოხსენება, 2) წლიური ანგარიშის და ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა, 3) გამგეობის წევრთა არჩევა, 4) წევრთა გამორიცხვა საზოგადოებიდან და 5) მიმდინარე კითხვები.

დაბეჭდილი ანგარიშები წევრთ შეუძლიანთ მიიღონ უმთავრეს მაღაზიაში და განყოფილებებში.

გამგეობა სთხოვს წევრთ უთუოდ დაესწრონ კრებას.

გამგეობა.

2—768—2

ახალი საკრებულო

(ყოფილი ხარფუხის კლუბი)

საზაფხულო სადგომი მიხეილის ქუჩა № 131.

კვირას, 3 სექტემბერს

გაიმართება

დიდი სახალხო სეირნობა

სხვა და სხვა სათამაშო ბავშვებისათვის და მოზრდილთათვის, სიმღერები, ცეკვა, მუსიკა, პტიშკო, კონფეტი, ყვავილები, ფოსტა და სხვა.

დაუკრავენ სიმებიანი და სამხედრო ორკესტრები, დუდუკი-ზურნა.

ბავშვებისათვის

წარმოდგენა და დივერტისმენტი

შესვლის ფასი: ბავშვებისათვის, მოწაფეთათვის და ჯარისკაცთათვის 30 კაპ. დანარჩენებისათვის 50 კ.

1—750—1 **დასაწყისი 8 საათზედ.**

ახალი ქართული სრულ-უფლებიანი

ქალ-ვაჟთა გიმნაზია

მასწავლებელთა კოლეგიისა (ყოფილი სკოლა ჩერქეზიშვილისა).

მოწაფეებს მიიღებენ პირველ სამ განყოფილებაში, სადაც სწავლა იწარმოებს ქართულ ენაზე და 1, 2, 3, 4 და 5 კლ. განმეორებითი გამოცდები დაიწყება ენკენისთვის 11-ს, სწავლა კი ენკენისთვის 20-ს. თხოვნები მიიღება გიმნაზიის კანცელარიაში ყოველ დღე დილის 10 ს. ნაშ. 1 საათამდე. მისამართი: ალექსეევის ქ. № 17 ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 3—765—2

ე ქ ი მ ი

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა დილის 1 საათიდან 2 საათამდე და საღამოს 6-დან 7 საათამდე.

გუნიბის ქუჩა № 41

თ—719—8

ე ქ ი მ ი

მ. ი. მაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე. [illegible] ქ. № 6. (თ.—202—)

ე ქ ი მ ი

მ. მ. მუხაძე

იღებს [illegible] ავადმყოფებს საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა

მისამართი: [illegible] ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი [illegible]. ტელეფონი № 5—77.

ე ქ ი მ ი

ე. დ. შალამბერიძე

იღებს [illegible] და საშვილოსნოს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: [illegible] ქუჩა № 1.

ე ქ ი მ ი

ა. დ. კეკელია

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.

(თ—703—13)

ქართველი ქალი

ეძებს ალაგს ბავშვების ზედამხედველათ ქართულ ოჯახში.

შუათანა პროგიმნაზიული კურსი აქვს დამთავრებული. ზედმიწევნით იცის ქართული ენა.

მისამართი: ქსენიის ქუჩა № 7, ბინა 1, მოიკითხეთ დ. ზ. იორამიშვილი.

1—775—1

ე ქ ი მ ი ს თ ა ნ ა შ ე მ წ ე

ვანო საათაშვილი

ღებულობს ავადმყოფებს საღ. 6—8 საათ.—ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებობით, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხ.

მისამართი: ფასანაურის შესახ. № 3. (1-ლი სამილიციო ნაწილი).

10—748—თ.

[illegible] [illegible]

მოსკ. [illegible] მკ

ქალანდარიშვილი

[illegible]

ბავშვთა, შინაგან და [illegible] ავადმყოფებს [illegible]

დილის 8—9-მდე საღამოს 5—7.

ტელეფ. № 17—21.

ე ქ ი მ ი

გ. ფ. მგალობლიშვილი

ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ოლღის ქუჩა № 41, ზემო [illegible], ტელ. 9—58.

ე ქ ი მ ი

მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის [illegible] [illegible], იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 5—6 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, [illegible] ქუჩა, № 19.

ე ქ ი მ ი ქალისა

ე. ივ. ბაღარჯიშვილი-მათეშვილისა

იღებს ავადმყოფებს:

დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.

[illegible] და [illegible] ქუჩის კუთხე № 20.

ზუგდიდის სრულუფლებიან ორივე სქესის მოწაფეთათვის გიმნაზიის

პედაგოგიური საბჭო

ამით აცხადებს, რომ I, მე II, მე III და მე-IV კლასებში მისაღები გამოცდები დანიშნულია

ენკენისთვის 11-სათვის

მოსამზადებელ კლასებში თავისუფალი ვაკანსიები არ არის. სწავლა ენკენისთვის 20 ს დაიწყება.

დირექტორის თან. ადგ. მ. კობახიძე. (1—761—1)

კვირას, 3 ენკენისთვეს, დილის თერთმეტ საათზე ამიერ-კავკასიის ბანკის ბინაზე (ლორის მელიქოვის ქ. № 5) დანიშნულია თბილელ

ქართველ ვაჭარ-მრეწველთა

კ რ ე ბ ა

რომელზედაც არჩეულ უნდა იქმნენ საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობის რწმუნებულნი.

თბილისი,

ენკენისთვის 3.

მობილიზაცია და საქართველო

კავკასიის უმაღლეს სამხედრო სამართველოში აზრათ მოუვლიათ, რომ მოახდინონ სამხედრო ძალთა ახალი მობილიზაცია. ეს ნიშნავს იმას, რომ ხალხისაგან დაცარიელებულ კავკასიას და კერძოდ საქართველოს უნდა წაერთვას უკანასკნელი სამუშაო ძალა და ქართული სოფელი, წინა მობილიზაციებით დასუსტებული სრულს უმწეობაში უნდა ჩავარდეს. რუსეთის არც ერთს ერს ამ ომისათვის პროპორციულად იმდენად მნიშვნელოვანი რაოდენობა ახალგაზრდათა არ მიუცია სამსხვერპლოდ, როგორც საქართველოს და ამ სხვერპლის შედეგებს იგი განსაკუთრებით დღეს გრძნობს სასიმშილოდ რომ ემზადება და არ არის ის მარჯვენა, რომელმაც შესძლოს გაუკაფოს სახსნელი გზა დედაკაცთა და ბრმა—მოხუცთა ამარა მიტოვებულ სოფლის გლეხობას.

იმ საშინელ რიცხვში, ბრძოლის ველზედ განწირულთა რაოდენობას რომ აღნიშნავს ქართველთა სახელები მრავლად არიან აღნიშნული და პროპორცია სხვა ერთა დანაკლის შორის იქაც უფრო მნიშვნელოვანია, რადგან ქართველთა მამაცი ხმალი რუსის მხედრობას ყოველთვის წინ უკაფავდა საომო მავლელობას.

მით საქართველო სამუდამოთ გამოეთხოვა და მცირე რიცხოვან ერს მისთვის ესოდენ საჭირო ჭაბუკნი არასოდეს აღარ დაუბრუნდებიან. ერის ცრემლითა და საუკუნო გმირთა სახელით მოიცვა მათი ხსოვნა, მაგრამ გმირობა მათ დანაკლისს მაინც ვერ აავსებს. ახლად განზრახულმა მობილიზაციამ უკანასკნელად უნდა დასწუროს ის მცირე ძალი, რაიც მას შერჩენია.

ეს მახვილი მძაფრი იქნება ერისთვის და იარა დაუამებელი.

მაგრამ კავკასიის მხედრობის მართველთა თავში მოვლინებული აზრი დიდი საჭიროებით არ არის გამოწვეული. ჯარის შემადგენლობის დღევანდელი რაოდენობა გაცილებით სჭარბობს იმ მოთხოვნილებას, რომელიც ჯარს თავს ადგია. სამხედრო ავტორიტეტები და რუსის მხედართმთავრები ირწმუნებიან, რომ ჯარით ავსებულია ყველა ფრონტები; ქალაქები დატვირთულია მათი უმოქმედო ნაწილებით და ამ აურაცხელი ჯარისკაცების რჩენით მცხოვრებლები იძულებულნი არიან მოიკლონ ცხოვრების უკანასკნელი სარჩო; სახელმწიფოს აღარ ყოფნის საშუალება მათი საჭიროებათა უზრუნველყოფისა.

საომო მოქმედებას მოკლებული ფრონტები კი სხვა და სხვა საგონებელში აგდებენ მეომართ და რეტიან ფიქრებს ბადებენ მათ თავში.

ყველა ამ მოსაზრებებმა რუსეთში უკვე ჯარის ნაწილის დემობილიზაციის საკითხი დასვა და მით უმეტეს განსაცვიფრებელია, რომ კავკასიის ჯარის უწყება წინააღმდეგ ეპირება ხალხის აკრეფას და საკმაო ჯარის გადიდებას.

ესეთი გადაწყვეტილება დიდ ვნებას მოუტანს როგორც ქართულს ეროვნულს სხეულს, ისე საზიანო იქნება რუსეთის ფინანსიურ და პოლიტიკურ მდგომარეობისათვის. სამხედრო უწყება მოვალეა ანგარიში გაუწიოს ამას.

კონტრ-რევოლუცია და ახალი მთავრობა

კორნილოვის აჯანყებას არ შეიძლება ავანტიურა ვუწოდოთ მხოლოდ. მისი ცნობილი ულტიმატუმი არ იყო შედეგი განსაკუთრებით ჯარში მომხდარ შეთქმულობისა, პირიქით შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ჯარი წარმოადგენს ბრმა იარაღს, რომლის მეოხებით კონტრ-რევოლუციური ძალები ლამობდენ რესტავრაციის მოხდენას. გენერალ კორნილოვის სახელი არც თუ ისე უნდა გაზვიადდეს და მისი მედიდური გამოსვლა არ უნდა ჩაითვალოს მის პირად პოლიტიკად. ასე რომ ყოფილიყო საქმის ნამდვილი ვითარება, რევოლუცია უზრუნველ ყოფილი იქმნებოდა და მის დასაცავად არც მთელი რუსეთის ძალთა მობილიზაცია დასჭირდებოდა.

მთავარსარდლის მეტად კადნიერ გამოწვევამ აშკარად დაგვანახვა, რომ რეაქციონურ ნაწილს უსარგებლოდ არ გამოუყენებია რევოლუციურ მართველობის ნახევარი წელიწადი: ამ ხნის განმავლობაში მათ საკმაოდ მოუმზადებიათ შეგრაზნული ნიადაგი შიგნით სახელმწიფოში და, რაც უფრო ყურადსაღებია, თვით რევოლუციურ ჯარის საკმარის ნაწილში შეუტანიათ უკმაყოფილება და რევოლუციისათვის საზიანო იდეები. მოკლედ რომ მოვსჭრათ, დამტკიცდა კონტრ-რევოლუციური შეთქმულობა რუსეთში და სწორედ ამან, ჩააგდო საგონებელში როგორც რევოლუციური მთავრობა, აგრეთვე ყველა რევოლუციურ წყობილების მოკეთე.

საჭირო არ არის იმისი თქმა, რომ რეაქციასთან საბრძოლველად უნდა აღსდგეს მთელი ერი და გამონახოს უტყუარი საშუალებანი რეაქციურ მიდრეკილებების ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრისათვის. აგრეთვე საჭიროა დღეს, დაუყონებლივ დაკმაყოფილდეს ერთა სამართლიანი მოთხოვნილებანი, რომ რევოლუციურ მთავრობას ემხრობოდეს არა მარტო გაბატონებული ხალხი, არამედ ყველა სახელმწიფოს საზღვრებში მოსახლე ერნი, რომელნიც დარწმუნდებიან, რომ დემოკრა-

ტიული რუსეთი უკეთეს მათ არა როგორც საწველ ძროხას, არამედ ზრუნავს მათთვისაც და შედის მათ დღევანდელ გაჭირვებულ მდგომარეობაში.

ამ ჟამად რევოლიუციურ მართველობის მორიგ მიზანს შეადგენს იმ გვარ მთავრობის—სამინისტროს მოწყობა, რომელშიაც მოქცეული იქნება პროგრესიულ რუსეთის ყველა ნაწილის წარმომადგენელი. ამ მოსაზრებას ჩვენ ხაზს ვუსვამთ, ვინაიდგან ზოგიერთ მნიშვნელოვან წრეებს გადაუწყვეტიათ უკუაგდონ კოალიციური მთავრობის მოწყობა და დაყრდნობა უნდათ მხოლოდ სოციალისტურ ელემენტებზე. ყოვლად შემცდარი აზრია და გადაჭრით უარყოფილი უნდა იქმნას, თუ რევოლიუციის მესვეურნი მოწადინებული არიან ჩააქრონ უკმაყოფილების მასაზრდოებელი მიზეზები და დემოკრატიის გაერთიანებული ძალ-ღონით შეუდგნენ დადებითი და ნაყოფიერ მუშაობას. კოალიციური მთავრობის შედგენის უარყოფა დააკმაყოფილებს მხოლოდ ბოლშევიკებს, რომელნიც იმ თავიდანვე ებრძოდენ კოალიციის იდეას და სასტიკად ჰგმობდენ „ბურჟუებთან" ხელი ხელ მუშაობას და მოღვაწეობას. ჩვენის ღრმა რწმენით ამ საფუძველზევე უნდა მოეწყოს ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტიც, რომლის ეხლანდელი შემადგენლობა უსათუოდ უნდა დაიშალოს, რათა მასში მოჰყვნენ კანონიერი მოადგილენი მკვიდრთა წარმომადგენლების სახით. დროა გამოვეთხოვოთ მახინჯ აზრს, რომ მხოლოდ მოვლინებულთ ძალ-ღონით ჩვენი ცხოვრების მოწყობა-მოწესრიგება! რევოლიუციის მსვლელობა ნათელ ჰყოფს ჩვენთვის იმ ჭეშმარიტებას, რომ პოლიტიკურ სიბრძნეს იჩენს მხოლოდ ის, ვინც დროზე სარგებლობს ხელ-საყრელ პირობებით.

რ. ინგილო

ქართული სოფელი

ვინ იცის, იქნებ სოფლის მდგომარეობა ისე არასოდეს ყოფილიყოს გართულებული, როგორც დღეს. ქალაქს ეხლა პროვინციისათვის აღარ სცალიან. რიგის ეპოპეა და განსაკუთრებით კორნილოვის აჯანყება ყველას აფიქრებს, მაგრამ თუ რა ხდება სოფლად, ეს ნაკლებ საგონებელს შეადგენს თვითეული ჩვენთაგანისათვის.

პირად ცნობებს მოკლებული სოფელი შერჩენია პირვანდელ შიკრიკებს, რასაც ადგილობრივი ცბიერი ვაჭრები ეწევიან. სხვაფრივ სოფელს მშველელი არავინ ჰყავს. ბლომათ ჰგრძნობს მდგომარეობის საშიშროებას, მაგრამ მისი ვითარება ვერ გაურკვევია. ერთი (უკეთ) სოფლის ძველად პროპაგანდისტობა იყო, მაგრამ პროვინციას ამ ჟამად ერთი მცოდნე კაცი არ ახლავს, რომ დარიგება მისცეს სოფელს. იგივე სიტყვები, გაშოროტებული ადამიანის წყევლა-კრულვა, იგივე მეტონ-ყმობის აღდგენის შიში, იგივე „ბურჟუა", იგივე სისხლის წურბელა... ვინაა გლეხის უდიდესი მტერი? „ფედერალისტი"! რამდენჯერ უგვანო პროპაგანდას შეეხ ჩვენებით, სადაც გლეხის გონება ფედერალისტთა დევნისკენ უფროა მიპყრობილი, ვიდრე იმაზე, თუ როგორ და რა ნაირად ვიზრუნოთ მოსალოდნელ შიმშილობისა და უბედურობის ასაცილებლად. სოფლელი პროპაგანდისტი ერთსა და იმავე ქარაგმით ყოველგვარს უბედურობას ამ პარტიას აწერს. სოფლელის თვალში თუ რამ კონტრ-რევოლუციური გამოსვლა ხდება, მხოლოდ ფედერალისტებისაგან. 3—5 ივლისში ბოლშევიკთა აჯანყება ფედერალისტების საქმე ყოფილა! ერთი სიტყვით ყველა ინტელიგენტი, ვინც სოფლად გაივლის, ფედერალისტია და ფედერალისტი ხომ ყოველგვარი უბედურობაა.

ამასობაში კი შიმშილობა გვიახლოვდება. შორს აღარაა ის დრო, როდესაც ბალახი საძოვარი გაგვეხდება, როგორც ეს მოუყვდათ მოუმზადებელ ფრანგ გლეხობას დიდი რევოლიუციის დროს. იმის მაგიერ, რომ სასოფლო ამხანაგობები დაარსონ ხორბლის შესანახად, იმის ნაცვლად, რომ სასტიკი თვალყური ადევნონ არყის ხდას, რაც ასე დაუღუპველ სახით გავრცელებულია ჩვენს ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეში, ნაცვლად იმისა, რომ ხალხს შეაგნებინონ მეტი კერკი და ჩირი შეანახვინონ, სოფელს კვლავ ცარიზმის უვარგისობაზე, მომავალ სოციალურ იდეალებზე და ფედერალისტების სიშიშროებაზე უქადაგებენ. დროა შევიგნოთ, რომ სიტყვებს ბრახუნი პოლიტიკას არ შეადგენს და არც თუ საქმე კეთდება მით. სოფელს უნდა მივხედოთ, მაგრამ არა უკანტროლო პროპაგანდისტების სახით, არამედ მომზადებულ ადამიანებით, რომელნიც შესძლებენ სოფელს მიაწოდონ საჭირო ცნობები და აუცილებელი დარიგებანი, ისიც ობიექტიურად, მიუდგომლად, ნუ დავივიწყებთ, რომ სოფელი არავის კუთვნილებას შეადგენს. იგი ყველასია და ჩვენგან მოითხოვს მამაშვილურს მზრუნველობას. ჩვენ გვწამს ამ ჭეშმარიტებას ადვილად გაიზიარებს ის პარტია, რომელმაც არა თუ ქართველი ერისა, მთელი რუსეთის პატრონობაც კი ჩაიგდო ხელში. მას უფრო, ვიდრე სხვა რომელიმე პარტიას, აკისრია პასუხისმგებლობა. ბოლო დროს თუ ქალაქს გაუწია შესანიშნავი პატრონობა, გვწამს, სოფელსაც სათანადო ყურადღებას მიაქცევს და შეგნებულ პირთ არ შეზღუდავს სოფლად სამოქმედოდ, მიუხედავად რწმენისა და პარტიული მიმართულებისა. ამას გვიკარნახებს სოფლის საშინელი მდგომარეობა, რისგანაც ბევრად დამოკიდებულია თვით ქალაქის ყოფა-ცხოვრებაც...

დ. კასრაძე

რუსული პრესა

„სოციალიზმი რუსეთში".

რუსეთში სოციალიზმის შესახებ მ. ტუგან-ბარანოვსკი „ბირჟ. ვედომოსტი"-ში სწერს:

„სოციალიზმი რუსეთში ახლო მომავალში ყოვლად შეუძლებელია. რუსეთი უფრო, ვიდრე დასავლეთელი სახელმწიფონი, შორსა სდგას სოციალიზმიდან. სოციალიზმი ჰგულისხმობს მასის გაცილებით მეტს განვითარებას... ამ რევოლუციის საშინელ კრიზისების დროს ხალხი ნდობას მხოლოდ სოციალისტებს უცხადებს, მაგრამ თუ სოციალისტებს ჰსურთ რუსეთის მართვა-გამგებლობა ჩაიგდონ ხელში, მაშინ უარი უნდა სთქვან სოციალისტურ პროგრამებზე, ვინაიდან რუსეთი ჯერ ამისთვის არ მომწიფებულა, სხვანაირად რომ ვსთქვათ, მდგომარეობა გვიკარნახებს, რომ სოციალისტები ჩაუდგენ სათავეში სახელმწიფოს, რომელთაც ნაკლებად სჯერათ საკუთარი პროგრამები".

შემდეგ ტუგან-ბარანოვსკი ეხება კრიზისის საკითხს, თუ როგორ უნდა დაიხსნას საშინელებას თავი:

„გზა მხოლოდ ორია. ან ჩვენებური სოციალიზმის ბაირახტარნი ძალას მოიცემენ და აწარმოებენ ბურჟუაზიულ პოლიტიკას და არა-სოციალისტურს, ან და სოციალისტურს პროგრამას ვერ გადუხვევენ და შეუძლებელ ჰყოფენ რუსეთში კაპიტალისტური და სამეურნეო ცხოვრება განვითარებულ იქმნეს. პირველ შემთხვევაში რუსეთი კაპიტალისტურ მეურნეობის პირობებში იქნება და პროგრესიულად დაიწყებს განვითარებას სოციალიზმის გზაზე, ხოლო მეორე შემთხვევაში რუსეთს ერთგვარი მეურნეობის სიდამბლე ეწვევა, რაიც ლოგიკურად კონტრ-რევოლუციისკენ გადაჰხრის ჩვენს ქვეყანას"...

კონტრ-რევოლუცია

დეპეშები

გიორგის კავალერთა გაჩხრეკა.

მოსკოვი. მარიამობისთვის 30. უმაღლეს მთავარსარდლის ბრძანებით გიორგის კავალერთა კავშირის სადგომი გაჩხრიკეს, მაგრამ ისეთი ვერა აღმოაჩინეს რა, რომ კორნილოვთან კავშირი დაემტკიცებინათ.

ჩხრეკა კიევში

კიევი. მარიამობისთვის 30. რევოლუციის დამცველ საგანგებო კომიტეტის წევრებმა დაჩხრიკეს ადმინისტრაციის ყოფილი მოხელენი და 30-ზე მეტი სასტუმრო. ჩხრეკა უშედეგო გამოდგა.

რასპუტინის მდივნის შეპყრობა.

კიევი. მარიამობისთვის 30. შეიპყრეს რასპუტინის ყოფილი მდივანი თავისუფალი ჯარისკაცი კნიროვი.

ოფიცრების შეპყრობა.

ბანაძი. მარიამობისთვის 30. სამხრეთ-დასავლეთ-ფრონტის კომისრის რწმუნებულთა და სარევოლუციო კომიტეტის განკარგულებით მინსკში და ფრონტის გზებზე შეიპყრეს კორნილოვის რწმუნებული 40 ოფიცერი. მათში მთავარსარდლის ოფიცერთა კავშირის თავმჯდომარე ნოვოსილცევიც ურევია.

უსსურიელ ყაზახთა დივიზია

პეტროგრადი. მარიამობისთვის 31. დღეს მინისტრ-თავმჯდომარეს უსსურიელთა დივიზია წარუდგა. დეპუტაციამ განაცხადა, რომ მას არავითარი კონტრ-რევოლიუციური ზრახვანი არა ჰქონია. პეტროგრადში თუ მოდიოდნენ, მხოლოდ თავიანთ უფროსის განკარგულებას ასრულებდნენ. დივიზია მუდამ ერთგული იყო დროებით მთავრობისა. მას კორნილოვის ზრახვანი არასოდეს არ ცოდნია. დივიზია პროტესტს აცხადებს სავინკოვის სიტყვებზე, თითქოს დივიზია პეტროგრადში დროებით მთავრობის ჩამოსაგდებად მიდიოდეს. დივიზიის ამ განცხადებას მინისტრ-თავმჯდომარის უმაღლეს მთავარსარდლის ბრძანებით სამხედრო მინისტრის კაბინეთი საყოველთაოდ აცხადებს.

სავინკოვის დათხოვნა

პეტროგრადი. მარიამობისთვის 31. დროებით მთავრობის უკაზი მმართველ სენატისადმი. სამხედრო და საზღვაო სამინისტროების გამგე, პეტროგრადისა და მის მიდამოების სამხედრო გენერალ-გუბერნატორი ბორის სავინკოვი თავისუფლდება ხსენებულ თანამდებობათაგან.

ახალი სამხედრო მინისტრი

პეტროგრადი. მარიამობისთვის 31. მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარის უფროსი მთავარშტაბის პოლკოვნიკი ვერხოვსკი გენერალ მაიორის ჩინით, სამხედრო მინისტრად ინიშნება.

მინისტრ-თავმჯდომარე ა. კერენსკი.

იუსტიციის მინისტრი ზარუდნი.

პეტროგრადის ჯარის უფროსი

პეტროგრადი. გენერალ-ლეიტენანტი ტეპლოვი პეტროგრადის სამხედრო-გუბერნატორო ჯარის უფროსად დაინიშნა.

აღმასრულებელ კომიტეტთა სხდომა.

პეტროგრადი, მარიამობისთვის 31. დღეს მოხდა ც. კ. და ს. დ. შეერთებული კრება იმ მოხსენებათა საკამათოთ, რომელნიც გუშინ მოისმინეს. ბოლშევიკმა კამენევმა განაცხადა, კორნილოვის გამოსვლა ეს ბურჟუაზიის შეთქმულებაა დემოკრატიის წინააღმდეგო, ამასთანავე დასძინა, კოალიცია იმ ძალებით, რომელიც მოსკოვის თათბირზე როძიანკოსა და ალექსეევის გარშემო შეიკრიბა, ყოვლად შეუძლებელიაო. კოალიცია მხოლოდ ერთი შეიძლება, ისიც მუშებისა, გლეხებისა და ჯარისკაცებისაო. შეერთებულ ს. დ. წარმომადგენელმა **სტეკლოვმა** სთქვა, მუშებისა, გლეხობისა და ჯარისკაცების გარდა იმ აფიცრებსაც შეუძლიანთ შევიდნენ კოალიციაში, თუ დემოკრატიულ სულით იქნებიან გაჟღენთილნიო. კრებაზე ესერთა წარმომადგენლებიც გამოვიდნენ მენშევიკ-ინტერნაციონალისტები და სხვები. კამათი ჯერ არ გათავებულა.

დღეს მოხდა პეტროგრადის საბჭოს დეპუტატების ყრილობა, რომელზედაც წერეთელმა მოხსენება წაიკითხა კომიტეტის მოქმედების შესახებ კონტრ-რევოლუციასთან საბრძოლველად. ამასთანავე შეეხო სამხედრო კომიტეტს, კორნილოვის შეთქმულობის ლიკვიდაციას, გაეცნო ისიც, თუ ვინ სად როგორ იქცევა რევოლუციური დემოკრატია და სხვ. მანვე ახსნა მიზეზი, თუ რატომ ვერ გაიმარჯვა კორნილოვმა და თანაც მოუწოდა, დემოკრატიამ ეს ერთობა არ უნდა დაარღვიოსო. წერეთლის სიტყვით საჭიროა კოალიციური მთავრობა, მაგრამ კადეტებსკი ადგილი არ ექნებათო. საბოლოოდ წერეთელი წინადადებას იძლევა მოწვეულ იქნეს მთელი რუსეთის დემოკრატიული ყრილობა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ყველა საზოგადო, პოლიტიკური და დემოკრატიული ჯგუფები, რათა ეხლავე საძირკველი ჩაეყაროს მომავალს დემოკრატიულს მთავრობასაო. კამათში მონაწილეობა მიიღეს ბოლშევიკებმა. კამათი შუაღამემდე გაგრძელდა.

კრილოვის სიკვდილი.

პეტროგრადი. მარიამობისთვის 31. გენერალი კრილოვი გარდაიცვალა.

გენერალი ელსნერი

პეტროგრადი. მარიამობისთვის 31. სამხრეთ დასავლ. ფრონტის სანოვაგოსა? სანურსათო საქმეთა უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ელსნერი დროებით მთავრობის ბრძანების თანახმად გადაყენებულია თანამდებობიდან და ამბოხების გამო სამართალში მიცემული.

მეამბოხე გენერალი კალედინი

პეტროგრადი. მარიამობისთვის 31 დონის ჯარის ატამანი, კავალერიის გენერალი კალედინი, თანახმად მთავრობის ბრძანებისა, გადაყენებულია თანამდებობიდან. იგი, როგორც მეამბოხე, სასამართლოში მისცეს.

მდგომარეობა პროვინციაში

პეტროგრადი. მარიამობისთვის 31. პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს კორნილოვის აჯანყების გამო დეპეშები მოსდის კოსტრომიდან, სიმფეროპოლიდან, ასტრახანიდან, ტამბოვიდან, ნიჟნი ნოვგოროდიდან, სევასტოპოლიდან, ახალ ბუხარიდან და ირკუტსკიდან. ატყობინებენ, რომ დროებით მთავრობას მხარს უჭერენ სხვა და სხვა საზოგადო ორგანიზაციები, პროფესიული კავშირები და პოლიტიკური პარტიები. სააგენტოს ატყობინებენ, რომ **ვორონეჟში, სიმფეროპოლში, ვინნიცში, ასტრახანში, ატკარსკაში, ტაგანროგში, პერმში და სარატოვში** კონტრ-რევოლუციასთან საბრძოლველად საგანგებო კომიტეტები შესდგა. სააგენტოს ცნობები მოსდის აგრეთვე იმის შესახებ, რომ კიევის, ფეოდოსიის და ვიატკის სხვა და სხვა დაწესებულებანი და ორგანიზაციები კონტრ-რევოლუციასთან საბრძოლველად მოუწოდებენ. ვიტებსკიდან ატყობინებენ, რომ ტეკინელების ეშელონმა შეიპყრო დრაგუნთა ესკადრონი და ეს უკანასკნელი ვიტებსკის მეციხოვნეთ შეუერთდნენ. **პოლტავიდან** ატყობინებენ: აქაურ საპოლკო კომიტეტმა რევოლუციის დასაცველად მთელი ბატალიონი გამოჰყო. თბილისიდან სრულ სიმშვიდისა და წესიერებას ატყობინებენ. **ამიერ-კავკასიის** მცხოვრებნი და ჯარი დროებით მთავრობას უჭერენ მხარს. სარატოვში მეციხოვნეთ სადღესასწაულო პარადი გაუმართავთ. ჯარს სამხედრო მუსიკით და წარწერილ დროშებით: „გაუმარჯოს კერენსკის", „ძირს კორნილოვი"-ო—გაუვლიათ ქალაქში. **სიმფეროპოლიდან** მაჰმადიანებმა აჯანყებულ მაჰმადიან ჯარის დასამშვიდებლად საგანგებო დელეგაცია გაგზავნეს. ასტრახანში მაჰმადიანთა ყრილობამ დაჰგმო კავკასიელთა დივიზია, რომელთაც რევოლუციის წინააღმდეგ აიხსეს იარაღი. ასტრახანის მეციხოვნეებმა კერენსკის დეპეშით აცნობეს თავიანთი მორჩილება.

არეულობა ფინლიანდიაში

ჰელსინგფორსი. მარიამობ. 30. რადგანაც კორპუსის უფროსმა ორანოვსკიმ არ შეასრულა დროებითი მთავრობის ბრძანება, რომ პეტროგრადისთვის ჯარები მოეშველებინა კორნილოვის აჯანყების გამო, ვიბორგის ციხეში საშინელი მღელვარება ასტყდა. ბრძანების არ შესრულების ამბავი ფიცხლავ გაიგო ყოველგან. გენერალი ორანოვსკი და მისი მომხრე ვიბორგის ციხის კომენდანტი გენერალი სტეპანოვი და ერთი პოლკის უფროსი დაპატიმრებულ იქმნენ და ჰაუპტვახტში გაგზავნეს რევოლიუციურ სასამართლოს წინაშე წარსადგენად. აღელვებულმა ბრბომ თვითვე გაასამართლა დაპატიმრებულნი. ღამით ჰაუპტვახტში მიეჭრნენ შეიარაღებული ჯარისკაცნი და დაპატიმრებულნი გარედ გამოიყვანეს. აღელვებულმა ბრბომ ისინი ხიდიდან ზღვაში გადაჰყარეს. იმავე ხიდიდან გადაჰყარეს 7 აფიცერი. ეხლა ვიბორგში სრული სიწყნარეა.

უფროსმა კომისარმა ონიკინმა ტელეგრაფით აცნობა ც. კ. ბალტიის ფლოტი და მისი შტაბი სავსებით ემორჩილება დროებით მთავრობასაო.

ჩხრეკა და დაპატიმრება.

მოსკოვი. მარიამობისთვის 31 მთელი რუსეთის აფიცერთა კავშირის მოწოდების გამო, რომ კორნილოვის ჯარებს მიემხრობოდნენ, მოსკოვში ჯარების უფროსის ბრძანების თანახმად გაჩხრიკეს მრავალი დაწესებულებანი, რასაც სამხედრო და სახაზინო დანიშნულება ჰქონდა. დაპატიმრებული არიან პოლკოვნიკი კაზაკოვი და გიორგის კავალერთა კავშირის ც. კომიტეტის თავმჯდომარე.

მოსკოვის ოფიცრები.

პეტროგრადი, მარიამობისთვის 31. მოსკოვის ოფიცერთა საბჭომ მოწოდებით მიმართა ყველა ოფიცრებსა და მოსკოვის მეციხოვნეთა სამხედრო პირებს. მოუწოდებენ: დაიცვან სამშობლო მთავრობის და ხალხის მოღალატისაგან.

მესამე ლაშქარში.

პეტროგრადი. მარიამობისთვის 31. დროებითმა მთავრობამ შემდეგი დეპეშა მიიღო: „მე-3-ე ლაშქრის საგანგებო კომიტეტი სალამს უძღვნის კერენსკის როგორც რუსეთის ერის ბელადს და სწამს, რომ მისი ზომები ძირიანად აღმოფხვრის ყოველივე კონტრ-რევოლუციურ განზრახვას.

მთავრობის კრიზისი და პრესა

პეტროგრადი. მარიამობისთვის 31. სოციალისტ-რევოლუციონერების ორგანოს „ვოლია ნაროდა", პლეხანოვის გაზეთის „ედინსტვო" რედაქციებმა და სახალხო-სოციალისტურ პარტიის ორგანოს „ნაროდნოე სლოვოს" რედაქციამ მოწოდებით მიმართეს მოქალაქეთ, რომ ყოველი ძალ-ღონე მთავრობის მხარის დაჭერას შეალიონ. ეცადნენ რომ მთავრობამ შესძლოს მისი პოლიტიკური უფლებანი გაძლიეროს, რაც აუცილებლივ საჭიროა ანარქისტებთან და კონტრ-რევოლიუციონერებთან საბრძოლველად და ეკონომიურ დარღვევის თავიდან ასაცილებლად, რომ შესაძლო შეიქმნეს მრისხანე მტერთან ბრძოლა. რაც შეეხება ამ მტერთან ბრძოლას—ნათქვამია მოწოდებაში—თქვენ მოქალაქენო, ხელს ნუ შეუშლით მთავრობას მშრომელთა საერთაშორისო ძმობა-ერთობის შესახებ [illegible]. რუსეთი ეხლა თავის [illegible], გერმანეთის გამარჯვება პოლიტიკურად დაამონავებს რუსეთს, გაუძნელებს თვით დაცვას, მაშასადამე დიდ ვნებას მიაყენებს რუსეთს და მასთან ერთად მთელი ქვეყნის რევოლიუციურ დემოკრატიას. ჩვენ სამშობლომ ერთში ორი უნდა აირჩიოს: ან დაღუპვა, ანდა მოკავშირეებთან ერთად მედგარ ომის გაგრძელება. მოგიწოდებთ: შემოკრბით მთავრობის გარშემო რევოლუციის დასაცველად, რომ მან მტრის წინააღმდეგობის გაწევა შესძლოს.

ომი და ზავი

რუსეთის ბანაკის ცნობა არ მოსულა.

საფრანგეთის ფრონტი

ინგლისის ბანაკის ცნობა.

ლონდონი. მარიამობისთ. 31. ოფიციალი ცნობა. გუშინ ღამით ლანსის სექტორში რამდენიმე ტყვე წამოიყვანეს ჩვენმა მზვერავებმა. მტრის არტილერია საკმაოდ მოქმედებდა ბიულეკურის მიდამოებში, მესსინის სამხრეთ-აღმოსავლეთით და ლანჟემარკის ჩრდილოეთით.

საადმირალო ცნობა. მიუხედავად უამინდობისა, ჩვენმა ჰიდროპლანებმა 29—30 მარიამობისთვის განმავლობაში რამდენიმე შესანიშნავი ოპერაცია შეასრულეს: ტურუს სადგურზე ყუმბარები დაუშინეს ჰაეროდრომებს და ტყვია-წამლის საწყობებს. ჰიდროპლანებმა რამდენიმე ტონა ასაფეთქებელი მასალა ჩაჰყარეს და სასწრაფოდ ბრიუგეს ნავთსადგურს ეწვივნენ. ბრიუგეში ჰიდროპლანთა თავდასხმას უამინდობის გამო ვერ მოჰყვა სასურველი შედეგი, მათ მხოლოდ იქვე მდგარს გემებს დაუშინეს ყუმბარები. ერთი ყუმბარა კონტრ-ნაღმოსანს მოხვდა, სადაც აფეთქების ნიშანი გამოჩნდა. სხვა ყუმბარებმა ცეცხლი გაუჩინეს სხვა და სხვა ადგილებს. ჰიდროპლანები უვნებლად დაბრუნდნენ.

პარიზი. მარ. 30. საარტილერიო სროლა. უფრო მკაცრი სროლა ბელგეთში და მაასის მარჯვენა ნაპირზე.

29 მარ. ჩვენმა მფრინავებმა გერმანელთა 4 ჰაეროპლანი ჩამოაგდეს, ათიც სერიოზულად დაზიანებული დაეშვა მტრის ბანაკში. ჩვენმა მფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს სადგურს რულერს, კორტრიკს, სტალონერს, კოლმარის ჰაეროდრომს, სადგურს კონფლანს და ფრინს.

ახლო აღმოსავლეთი

ცერნის შესართავში იტალიელებმა მოიგერიეს მტრის იერიში. მონასტრის რაიონში საარტილერიო ბრძოლა. ცეების რაიონში ჩვენებმა დაიჭირეს სოფელი პოგრადეცი, ოხრიდის სამხრეთ დასავლეთ ნ-3-ზე მტერი ჩრდილოეთით იქმნა განდევნილი.

ოდესა. მარ. 31. მოფრინდა მფრინავი სმოლიანიკოვი, რომელმაც რამდენიმე დღის წინ ბოლგრადიდან სალონიკამდის გაფრინა. უკან დაბრუნებისას სალონიკიდან ბოლგრადამდე მფრინავმა 8 საათი მოანდომა, სამიათას მეტრის სიმაღლეზე. მფრინავმა გადმოგვცა სალონიკში რუს ჯართა მდგომარეობა. ყველანი დროებით მთავრობას უჭერს მხარსაო.

ინგლისის მუშათა კონფერენცია

ლონდონი. მარიამ. 30. დასრულდა მოკავშირე ქვეყნების ეროვნულ, პროფესიულ ფედერაციის წარმომადგენელთა კონფერენცია. მიიღეს რეზოლიუცია. საერთაშორისო სეკრეტარიატის დაუყოვნებლივ ბერლინიდან სხვა ადგილზე გადატანის შესახებ. შემდეგ კონფერენციამ განიხილა წინადადება საერთაშორისო კონფერენციის ბერნში მოწვევის შესახებ. კრების დასასრულ მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ საერთაშორისო ბიუროს ბერლინიდან რომელიმე ნეიტრალ სახელმწიფოში გადატანის საკითხი მიწერ-მოწერით უნდა გამოირკვეს, ამასთან მისი განხორციელება შვეიცარიის ფედერაციამ უნდა იკისროს. მისი გადატანის მიზეზები მოკავშირე ქვეყნების წარმომადგენლებმა საგანგებო დეკლარაციით უნდა განაცხადონ. დეკლარაცია ყველა ქვეყნებს უნდა ეცნობოს. თვითეულ ქვეყნის კონგრესების შედეგები შვეიცარიის ფედერაციამ უნდა გამოაქვეყნოს. თუ ყველამ მოიწადინა ბიუროს გადატანა, შვეიცარიის ფედერაცია ამის განხორციელებას უნდა შეუდგეს. კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია იმის შესახებ, რომ მუშებს სამშვიდობო კონფერენციაზე წარმომადგენლები ჰყავდეთ.

ზავის საკითხი

ლონდონი. მარიამობ. 29. ნიუ-იორკიდან „დეილი ტელეგრაფი" იტყობინება: ბერლინის გარეშე საქმეთა სამინისტრო კიულმანის საშუალებით ამერიკელთა წინასწარი აზრი შეამზადოს ზავისა, ბელგეთის აღდგენისა და ელზას ლორენის დამოუკიდებლობის შესახებ. ყველა ამაზე ხარჯი უნდა ინგლისმა გაიღოს იმის საფასურში, რაც გერმანიამ აფრიკის ახალშენები დაჰკარგა. კიულმანის გამოსვლა აიხსნება იმ გარემოებით, რომ ამერიკა უდიდეს სამხედრო სამზადისშია.

საფრანგეთის ახალი სამინისტრო

პარიზი. მარიამობისთ. 30. საღამოთი პენლევემ აცნობა პუანკარეს, რომ ახალ სამინისტროს ვადგენო.

მარიამობისთვის 30. პრეზიდენტის დეკრეტით დამტკიცდა სამხედრო სამინისტროს შემდეგი შემადგენლობა: მინისტრ-პრეზიდენტად პენლევე, გარეშე საქმეთა მინისტრები, საზღვაო, ფინანსების, სტატს-სეკრეტარები ბარტუ, ბურჟუა, დუმერგი და დიუპუი, სამხედრო და საზღვაო შტაბის უფროსები. პენლევემ სამხედრო მინისტრის პორტფელიც აიღო. სამინისტროში შედის აგრეთვე სტატს-სეკრეტარების 11 თანაშემწე.

ეროვნული საკითხი

ციმბირის ავტონომია

პეტროგრადის სატახტო გაზეთებში მოთავსებულია საუბარი (ინტერვიუ) ციმბირის საზოგადო მოღვაწეებთან. მათ განუცხადებიათ შემდეგი: „ციმბირმა უნდა მიიღოს ავტონომია, ამას მოითხოვს განსაკუთრებული წესწყობილება და ყოფა-ცხოვრება ციმბირისა.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ომის შემდეგ ციმბირი სახელმწიფოს ეკონომიურ აღორძინებაში დიდ მონაწილეობას მიიღებს.

თავის თავად ცხადია, რომ კანონმდებლობითი რწმუნებულებათა მინიჭება სრულიადაც არ გულისხმობს ციმბირის რუსეთიდან გამოყოფას. ციმბირი ჰგრძნობს კავშირს რუსეთთან და ეს კავშირი მით უფრო ძლიერი იქნება, რამდენადაც დედა ქალაქი გონიერ პოლიტიკას დაადგება. ციმბირი ვეღარ მოითმენს მის ინტერესების შელახვას და მის სიმდიდრის აფაზაკურად გატაცებას, მშვიდობიანის თვალით ვერ შეხედავს. დამფუძნებელ კრებაზე ციმბირის წარმომადგენლებმა უნდა მოითხოვონ საკანონმდებლო ავტონომია, რასაც ცხოვრებაში ციმბირის სათათბირო და მის წინაშე პასუხის მგებელი ადმინისტრაცია გაატარებს.

ციმბირის საოლქო სათათბირო.

ციმბირის საოლქო სათათბიროს უწყებას გადაეცემა:

1) უფლება მთელი ციმბირისა, მიწის, ტყის წყლით და მიწის გულის განგებისა; ადგილ-მამულის შემუშავების წესრიგის დამყარება.

2) სახალხოსო საშუალებათა გამართვა და გადმოსახლებულთა მოწყობა.

3) ციმბირის ბუნებრივ სიმდიდრის დაცვა.

4) მრეწველობის და სოფლის მეურნეობის საკითხები.

5) უცხო ტომთა საკითხი.

6) ადგილობრივ გზების გაყვანა სტრატეგიულების გარდა.

7) მეზობელ სახელმწიფოთაგან გადმოსახლებულთა თვალყურის დევნება.

8) სწავლა-განათლება და ხალხის კეთილდღეობა.

9) საზოგადოებრივი უშიშროება.

10) სისხლის სამართლის და სამოქალაქო ადგილობრივი კანონმდებლობა.

11) ტარიფებისა და ყოველგვარ გადასახადების დამტკიცება.

12) ადგილობრივი საბიუჯეტო უფლება და ვალის აღების თავისუფლება.

საადგილმამულო საკითხი

ციმბირში კერძო მიწადმოქმედება არ არის, ამიტომ რაიმე გაუგებრობას ან და თავის მტერებს ადგილი არ ექნება ამ საკითხში.

გადასახლება ციმბირში

ციმბირში გადმოსახლება სასურველად უნდა ჩაითვალოს, ამბობენ ციმბირელები, მაგრამ ისე კი უნდა ხდებოდეს ეს გადმოსახლება, რომ ჩვენს ნაშრომს არას ავნებდნენ, რადგან მაზედ უმთავრესად სამშობლოს კეთილდღეობა დამყარებული. სასურველია სამრეწველო ახალშენების დაარსება.

თითქმის ეხლაც, რევოლუციური რუსეთიც კი ციმბირს მხოლოდ დამნაშავეთა გადასასახლებელ ალაგად სთვლის. ამას დემოკრატიაც იზიარებს. თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ ყოფილ ჟანდარმების და პოლიციის მოხელეთა აქ გადმოსახლება დაადგინა. ციმბირში 12 მილიონი მოქალაქეა და არ მოითმენს, რომ მას ისე უყურებდნენ, როგორც უვარგის ელემენტების გადასაყრელ ალაგს.

ტარიფები

საწარმოვო ძალთა ასაღორძინებლად სათათბიროს ადგილობრივ რკინის გზებზე ტარიფების დამტკიცების და ციმბირის საზღვრებზე ბაჟის შემოღების უფლება უნდა ჰქონდეს. საჭიროა ზომების მიღება საკუთარ მრეწველობის გასავითარებლად. საჭიროა აღორძინება საკუთარ ფაბრიკა-ქარხნებისა, რაც შესუსტებს ვაჭრობის მხრივ ციმბირის დამოკიდებულებას".

რუსეთი და უცხოეთი

მექარხნეთა ყრილობის დადგენილება

ადესა. მარიამობისთვის 30. სამხრეთ რუსეთის მრეწველთა ყრილობაზე მექარხნეებმა რეზოლუცია გამოიტანეს მუშათა ხელფასის მომატების წინააღმდეგ. რეზოლუცია ემხრობა ხელფასს იმაზე, რასაც მუშა გააკეთებს, ამასთანავე მოითხოვს საქარხნო კომიტეტების შემცირებას, აგრეთვე ქირა არ მიეცემა ამორჩეულს მუშებსაო და, ბოლოს, მუშათა მიღება და დათხოვნა სრულიად უკონტროლოდ უნდა ხდებოდესო. მთავრობისაგან რეზოლუცია მოითხოვს ერთგვარობას. მრეწველნი მოუწოდებენ ყურადღება არ მიაქციოთ ადესის მექარხნეთა კომიტეტების წესდებას, რომელიც რამდენიმე თვის წინად შეადგინეს. მრეწველობის ორგანიზაციისა და მრეწველთა ინტერესების კოლექტიურ დაცვისათვის რეზოლუცია წინადადებას იძლევა პეტროგრადის მაგალითით ისარგებლონ ურთი-ერთშორის ზნეობრივ და ნივთიერ პასუხისმგებლობით, რაიც საზოგადო დადგენილებათა შესრულების სრულ გარანტიას იძლევაო.

რუსეთის საეკლესიო კრების „ნაკაზი"

თანახმად „ნაკაზისა", ადგილობრივ კრებას აქვს სრული უფლება საეკლესიო ცხოვრების დადგენისა ღვთის სიტყვისა, დოღმატთა, კანონთა და გარდმოცემათა საფუძველზე.

სინოდს, ობერ პროკურორს და მთავრობის რწმუნებულ პირებს საკუთარი შემოქმედებით შეუძლიანთ მისცენ კრებას განცხადებანი და განმარტონ ისინი როგორც საზოგადო კრებაზე, ისე განყოფილებებში.

სინოდი წარუდგენს კრებას ყველა ცნობებს თავის თუ სხვათა, მის ხელქვეით მყოფ, პირთა და დაწესებულებათა მოქმედებისას. კრება აწესებს ეკლესიის მმართველობის უმაღლეს ორგანოებს და ირჩევს მათთვის საჭირო პირებს. არჩევის შემდეგ ყველა საქმეები, უფლებანი და ვალდებულებანი გადადის ამ ორგანოებზე. არავითარი პირდაპირი მიმართვა და შუამდგომლობანი, აგრეთვე საჩივრები და თხოვნები კრებისადმი არ მიიღება.

კრება მოქმედობს საზოგადო კრებით, ეპისკოპოსთა თათბირის, კრების საბჭოთა, განყოფილებათა და პრეზიდიუმის საშუალებით, კრების მიმართვანი მთავრობისადმი და მართლმადიდებელ ეკლესიის შვილთადმი, ავტოკეფალურ ეკლესიათა წარმომადგენლთადმი, სინოდისადმი, ეპისკოპოსთადმი, განდგომილთადმი ანუ განდგომისთვის განზრახულთადმი ქრისტიანე რჯულისაგან და იმათადმი რომელთაც მოუწოდებს დაუბრუნდნენ ეკლესიის წიაღს, ხდება კრების ეპისტოლეთა საშუალებით, ანუ წარგზავნით კრებათა დადგენილებებით. თუ საქმეთა სიებისა.

როგორც მუდამ მომქმედ დაწესებულებას, კრებას აქვს თავისი ბეჭედი.

კრების წევრებს შეაქვთ თავისი წინადადებანი, ხელმოწერილი არა ნაკლებ 30 პირისაგან, კრების საბჭოს საშუალებით.

უკანასკნელი დეპეშები

პეტროგრადიდან

მთავარსარდლის შტაბის უფროსს გენერალ ალექსეევს კორნილოვი და ლუკომსკი შეუპყრია.

„ვეჩერნეე ვრემია" სწერს: უმაღლესი სამხედრო თანამდებობანი ყველასაგან სანდო და პატივცემულმა პირებმა დაიჭირეს. უმაღლეს მთავარსარდლის შტაბის უფროსად დაინიშნა ალექსეევი, ჩრდილოეთის მთავარსარდლად—რუზსკი, სამხრეთის მთავარსარდლად—აბრამ დრაგომიროვი.

„რუსკაია ვოლია"-ს ცნობით—შეუპყრიათ რუსთა კავშირის ყოფილი თავმჯდომარე რიმსკი-კორსაკოვი. მას კორნილოვთან მიწერ-მოწერა ჰქონია.

შეიპყრეს პირველ ცხენოსანთა პოლკის უფროსი გენერალი დოლგორუკოვი.

„რეჩ"-ი აღნიშნავს მთავრობის თავგამოდებით ცდას სამინისტროს მარჯვენა ფრთის შესაქმნელად. გაზეთი აღნიშნავს, რომ ნამდვილ ბურჟუაზიული პარტია იხსნის კადეტებს იმ ბრალდებათაგან, რომ ისინი ცალმხრივ იცავენ ბურჟუაზიულ ინტერესებს.

კორნილოვის ეშელონები 60—100 ვერსით არიან პეტროგრადზე დაშორებულნი. სდგანან ბალტიის, ვარშავის და ვინდავა-რიბინსკის რკინის გზათა სადგურებზე. პეტროგრადის დამცველი ჯარი მზადაა და კორნილოვის ეშელონებს ელის, მაგრამ როგორც სჩანს, ეს უკანასკნელი არაფერს აპირებენ. კორნილოვის ჯარი იშლება.

ქრონიკა

თბილისი

◆ **მთიელთა კავშირის დეპეშა.** ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტმა დეპეშა მიიღო მთიელთა კავშირის აღმასრულებელ კომიტეტისაგან. დეპეშა ამბობს, რომ რევოლუციის მიერ მოპოვებულ თავისუფლების წინააღმდეგ გამოლაშქრებას მედგრად შევებრძოლებითო.

◆ **თბილისის ნოქართა კავშირმა** განუცხადა ქალაქის გამგეობას, რომ ბევრი ფირმები თავიანთ საქმეს გაუქმებას აპირებენ და მრავალი ნოქარი უსაქმოდ დარჩებაო. კავშირმა სთხოვა გამგეობას, რომ თავისი წარმომადგენელი დანიშნოს ამ კავშირში. თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა და გამგეობამ თავის წარმომადგენლად ბ-ნი აზატიანი დანიშნა.

◆ **პურის მონოპოლია.** ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა დეპეშით სთხოვა მინისტრ-თავმჯდომარეს კერენსკის, რომ ამიერ კავკასიაზედაც გაავრცელოს კანონი პურის მონოპოლიის შესახებ.

◆ **ალექსანდროპოლის ამბები.** ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტს სასწრაფო დეპეშით ატყობინებენ: „მაჰმადიანთა კომიტეტს ალექსანდროპოლელი მაჰმადიანებმა შეატყობინეს რომ მარიამობისთვის 27-ს ქალაქ ალექსანდროპოლის ადგილობრივ მაჰმადიანებს სომეხი ჯარის კაცები დაესხნენ თავს. მოჰკლეს 15 კაცი, დაჭრეს 40. გაძარცვეს სახლები და ქონება გაიტაცეს. მაჰმადიანები თავზარდაცემულნი არიან. გთხოვთ საქმე გამოიძიოთ და დასაჯოთ დამნაშავენი. მაჰმადიანთა კომიტეტის თავმჯდომარე თოფჩიბაშევი.

◆ **საფრანგეთის რესპუბლიკის დროშა.** საფრანგეთის სასანიტარო მისიამ, რომელიც კავკასიის ფრონტზე სამუშაოდ ჩამოვიდა, თავისი სადგურის ლაზარეთი მოაწყო მტკვრის პირა ქუჩაზე. ლაზარეთზე აფრიალებულია საფრანგეთის ეროვნული დროშა. ეს დროშა, როგორც რუსეთის წინანდელი დროშა, სამფეროვანია (წითელი, ლურჯი და თეთრი) იმ განსხვავებით, რომ საფრანგეთის დროშაზე ზოლები დაშვებულია ზემოდან ამ რიგად: ჯერ არის ლურჯი ზოლი, მეორე ადგილას თეთრი და ბოლოს წითელი. ეს განმარტება იმისთვის არის საჭირო, რომ ამ დღეებში ზოგიერთებს ეს დროშა რუსეთის წინანდელი დროშა ეგონათ და კინაღამ ინცინდენტი მოხდა.

◆ **საღამო ქართულ კლუბში.** დღეს, ენკენისთვის 3-ს, ქართველი მხედრობა, უკრაინელთა გრამადა და თბილისში მყოფი ესტონელი ჯარისკაცები საღამოს მართავენ. იმღერებენ მ. კავსაძის და ძ. ლოლუას მომღერალი გუნდები და აგრეთვე კავკასიის მხედართმთავრისა და ესტონელთა მომღერალი გუნდები. წარმოდგენილი იქნება ერთმოქმედებიანი ვოდევილი „თაიგული". გაიმართება რუსული კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობენ საუკეთესო ძალები. დაუკრავენ მეფანდურენი და სხ. ბოლოს გაიმართება ცეკვა. საღამოზე მიწვეულია მე-218 პოლკის მუსიკა.

◆ **სამეფო დღის უქმობა.** მარიამობისთვის 30 ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სამკითხველო მთელი დღე დაკეტილი იყო. კალენდარში ეს დღე წითლად იყო აღნიშნული. ქალაქის გამგეობას შესაფერი განკარგულება არ მოუხდენია, და სამკითხველოს გამგე ქალს კი არ სცოდნოდა, რომ მარიამობისთვის 30 მეფის დღე იყო.

◆ **სემინარიელთა კრება.** კვირის 3 სექტემბერს საღამოს 5 საათზე თბილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეთა აღმასრულებელი კომიტეტი იწვევს სემინარიის მოწაფეთა სასწრაფო კრებას, რომელსაც ექნება მსჯელობა მეტად სერიოზულ საკითხზე. ყველა თბილისში მყოფ სემინარიელებს ვთხოვთ კრებას უსათუოდ დაესწრონ. კრება დანიშნულია სემინარიის ძველ შენობაში.

◆ **ქართული გიმნაზიის მშობელთა წრე.** თბილისის სათავად-აზნაურო ქალთა და ვაჟთა გიმნაზიებთან არსებულ მშობელთა წრეების საბჭოების თავმჯდომარეები აცხადებენ, რომ ენკენისთვის 4-ს, ორშაბათს, საღამოს 7 საათზედ ,დანიშნულია ხსენებული საბჭოების შეერთებული კრება განსახილველად ფრიად საჭირობა საქმეებისა. წევრებს სთხოვენ უსათუოდ მობრძანდნენ.

◆ **ოსმალელ სომეხთა საბჭო.** შესდგა ოსმალელ სომეხთა საბჭო ლტოლვილთათვის. საბჭოში შედიან: ეპისკოპოსი მხითარი, ა. არაქელიანი, ს. არუთიუნი, ა. სააკიანი, ა. დარბინიანი, სასუნი და გილიკიანი. დადგენილია ეთხოვოს ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტს ახალ ორგანიზაციის დამტკიცება.

◆ **ალ. ხატისოვი**, ყოფილი ქალაქის მოურავი კისლოვოდსკიდან თბილისში დაბრუნდა.

◆ **საქალაქო მამულების მითვისება.** ამ ბოლო ხანებში ძალიან გახშირდა საქალაქო მამულების მითვისება სხვა და სხვა პირთაგან. ამის გამო ქალაქის გამგეობა სთხოვს მილიციის უფროს წინადადება მისცეს თავისს ხელქვეითებს, რომ ვისაც გამგეობის ნებართვა არ ექნება, სახლის აშენება არ დაანებონ და აგრეთვე დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის აგენტებს.

◆ **ძარცვა-გლეჯა.** სიმონ ქურქიშვილის სახლში მილიციონერების სახით შევიდნენ შეიარაღებული კაცები, შებოჭეს მდგმურები და მეეზოვე და და სახლი გაძარცვეს. როგორც ფიქრობენ, მძარცველები უნდა იყვნენ მეგობრები გურაშვილისა, რომელიც ამას წინად მოჰკლა ქურქიშვილმა,

◆ **ებრაელთა ყრილობა.** სრულიად რუსეთის ებრაელთა ყრილობის მომწვევი კომიტეტი აცხადებს, რომ ყრილობისათვის არჩევნები მთელ რუსეთში ამ წლის ქრისტეშობისთვის 3, 4 და 5 უნდა მოხდესო. ყრილობის დღე და ალაგი ჯერ არ დამტკიცებულა.

◆ **საეკლესიო ყრილობა.** საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ მიწერილობა დაუგზავნა საოლქო საბჭოს თავმჯდომარეთ, რომ 8 ენკენისთვისათვის დანიშნულ სრულიად საქართველოს პირველ საეკლესიო კრებაზე წამომსვლელმა დელეგატებმა თან უნდა წამოიმძღვარონ ქვეშაგების თეთრეული (საური და ბალიშის პირი) და თუ შესაძლებელია, 10 დღის სამყოფი შაქარი.

◆ **სოც.-რევოლუციონერთა ყრილობა.** ენკენისთვის 15-ს, თბილისში დანიშნულია ამიერ-კავკასიის სოც.-რევოლუციონერთა პარტიის საოლქო ყრილობა.

◆ **ჯარისკაცის მოწმობები.** ნაპოვნია შალვა კორინთელის ორი მოწმობა. მოიკითხეთ „საქართველოს" რედაქციაში.

◆ **სტუდენტებს საყურადღებოდ.** მოსკოვის ქალაქის თვითმართველობა აფრთხილებს მოსწავლეებს, ნუ დაიჩქარებთ მოსკოვში ჩამოსვლას, რადგან ფრიად დიდი სიძვირეა ბინების და სანოვაგისა.

◆ **ქურდობა.** მარიამობისთვის 31-ს ჩუღურეთის ეკლესიის გალავანში მღ. ხ. ხუციშვილის სახლში შეიპარნენ საღამოის ტანისამოსში გამოწყობილი ქურდები და სხვა და სხვა ნივთები წაიღეს 3000 მანეთისა. მღვდელი ბრძოლის ველზე ყოფილა სამსახურის გამო და ცოლი მისი სოფლად. ქურდობა აღმოაჩინა მღვდლის შვილმა.

◆ **შეშის საკითხი.** ქუთაისიდან ატყობინებენ თბილისის ქალაქის გამგეობას, რომ მომავალი ზამთრისათვის 1000 საჟენზე მეტი შეშა არ გამოიგზავნება თბილისში ქუთაისის გუბერნიიდანაო.

ქუთაისი

◆ **ქუთაისის გარნიზონი.** აკ. ჩხენკელის კანცელარიას შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა ქუთაისის გუბერნიის კომისარმა გიორგაძემ. ქუთაისსა და ქუთაისის გუბერნიაში სრული მყუდროებაა. ქუთაისის გარნიზონმა რეზოლუცია გამოიტანა, რომელშიაც ნდობას უცხადებს დროებით მთავრობას და მის ყველა განკარგულებას ემორჩილება. გუბერნიის მცხოვრებთ მივმართე მოწოდებით, რომ მზად იყვნენ რევოლუციის დასაცველად. სულიერი განწყობილება ფხიზელია და რევოლუციონური. ჩვენი მუშაობა შეთანხმებული იქნება კავკასიის დროებით ცენტრალ სარევოლუციო კომიტეტის მუშაობასთან.

◆ **კათალიკოსის არჩევნების გამო.** საქართ. ავტოკეფალურ ეკლესიის იმერეთის სამღვდელოების დრ. მმართველობამ შემდეგის თხოვნით მიმართა ქუთაისის გუბერნიის კომისარს ბ-ნ გრიგოლ გიორგაძეს: იმერეთიდან კათალიკოსის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებათ წავა დელეგაცია რიცხვით სამასი კაცი, რომელთათვისაც რკინის გზაზე საჭიროა განსაკუთრებული მატარებელი. სამღ. მმართველობა კომისარს სთხოვს რკინის გზის მმართველობის წინაშე შუამდგომლობას დელეგაციისთვის საგანგებო მატარებლის მისაცემათ. გუბერნიის კომისარმა, გრ. გიორგაძემ, უკვე აცნობა რკინის გზის მმართველობას, რომ იმერეთის სამღვდელოებას ცალკე მატარებელი დაეთმოს.

◆ **ფეხსაცმელის სამკერვალო სკოლა.** ქალაქის სასურსათო კომიტეტმა უკვე მოაწყო ფეხსაცმელების სამკერვალოს სკოლა. სკოლამ აგვისტოს 24-დან მოქმედება დაიწყო. შეკერავენ ყოველგვარ ფეხსაცმელს, რომელიც გაიყიდება სასურსათო კომიტეტის მიერ დაწესებულ ფასში.

◆ **რაჭის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტის შესანახი ხარჯი.** გუბერნიის აღმ. კომიტეტს რაჭის აღმასრულებელ კომიტეტისაგან მოუვიდა ფურცელი რაჭის აღმ. კომიტეტის ხარჯებისა: მაზრის კომისარს ჯამაგირი 500 მან. მდივანს 240, საქმის მწარმოებელს 180, თარჯიმანს 150, რეგისტრატორს 150, მემანქანეს (რემინგტონზე მომუშავეს) 120. მეორე მწერალს 120, მესამეს 120, დარაჯს 100, წვრიმალი ხარჯები 250 მან.

◆ **ილიას პანაშვიდი.** კვირას, მარიამობისთვის 27-ს, საკათედრო ტაძარში გადახდილ იქმნა პანაშვიდი ილიას სულის მოსახსენებლათ.

ბათომი.

◆ **საეკლესიო დელეგატების არჩევა.** მარიამობისთვის 27-ს, წირვის შემდეგ, აჭარმა ქართველობამ თავის დელეგატებად ქართულ საეკლესიო კრებაზე დასასწრებლად და კათალიკოზის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად აირჩია ექ. გრ. ელიავა და ლ. ქიქოძე.

თელავი

◆ თელავის სასურსათო კომიტეტმა მიიღო 500 ფუთი თავი შაქარი და 25, ტომარა შაქრის ფხვნილი.

მარიამობისთვის 21-დან გაიღო მეფართლეთ დუქნები და ნება მიეცათ სასურსათო კომიტეტის მიცემულ ნიხრის კვალობაზე ივაჭრონ.

◆ სასურსათო კომიტეტი, ყველაფერს დიდი ყურადღებით ექცევა, ყველას ნიხრს უწესებს, მხოლოდ მეღვინეთ დუქნებს არავითარ ყურადღებას არ აქცევს და ისინიც როგორც სურთ ისე მოქმედებენ და ავიწროებენ ხალხს.

◆ თანახმად თბილისის სასურსათო კომიტეტის დადგენილებისა, თელავის სამაზრო კომიტეტმა, დაბეჭდილი ფურცლებით დაუგზავნა ყველა სოფლების კომიტეტებს, რომ, გამოიკვლიონ სოფლად მოსავლის რაოდენობა, როგორც პურისა, აგრეთვე ქერი, სიმინდი და სხვა.

◆ როგორც ხმები მოდის თელავის მაზრის სოფლებიდგან ძალიან გახშირებულა საქონლის სატკივარი.

ს. გომი

◆ **ხორბლეულობის შესასყიდათ** მოსული რწმუნებულები საგუბერნიო სასურსათო კომიტეტისა ნდობით მიიღეს სოფლელებმა და აღუთქვეს, რომ ზედმეტ პურსა და ქერს სიამოვნებით მოგყიდით მტკიცე ფასების კვალობაზეო.

ახალ-სენაკი

◆ **მისაბაძი მაგალითი.** სოფ. კვათანის მც. მღლოჩინმა ფილიმონ შომახიამ უდროვოთ გარდაცვალებულის თავის ერთად-ერთ ვაჟის ქუთაისის გიმნაზიის მეოთხე კლასის მოწაფის ფედია შომახიას ხსოვნის აღსანიშნავათ კვათანის საზოგადოების ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ გადასცა აკხ. ვასილ ქობულიას 50 მან. ხოლო ს. კვათანში დაარსა ამავე მიზნით ბიბლიოთეკა-სამკითხველო და გამოუწერა სამი წლით სამი სხვა და სხვა მიმართულების გაზეთი: „ერთობა", „სახალხო საქმე" და „საქართველო".

ზუგდიდი

◆ **საქონლის ჭირი.** ზუგდიდის აღმ. კომიტეტი გუბერნიის კომისარს ატყობინებს, რომ ზუგდიდის მაზრაში მეტად გაძლიერდა საქონლის ჭირი. საქონლის ჭირმა მუსრი გაავლო მთელ მცხოვრებთა საქონელს. ზოგიერთი მცხოვრები, რომელიც მხოლოდ საქონლით სცხოვრობდა აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდა. აღმ. კომიტეტი თხოულობს, ზუგდიდის მაზრას საჩქაროთ მიაშველონ ორი ბეითალი და საქონლის ჭირთან საბრძოლი წამალი.

კავკასიის დროებითი ცენტრალ სარევოლუციო კომიტეტის ბიულეტენი

მარიამობისთვის 31

დამტკიცებულია მოხსენება დამტუსაღებელ კომისიისა კორნილოვის შეთქმულობის მონაწილეთა დაპატიმრების შესახებ. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ კონტრ-რევოლუციონერთა ყოველივე ცდა ჩაქრულია. კავკავში შესდგა „საზოგადოების მხსნელი კომიტეტი", რომელმაც კორნილოვი გამოაცხადა მოღალატედ. სრული თანხმობა მოხდა თერგის ოლქის ყველა მკვიდრთა შორის. ველურმა დივიზიამ, რაც იმან მომხდარი ამბების სინამდვილე გაიგო, განაცხადა, რომ კორნილოვმა მოგვატყუვლა, დაგვარწმუნა-რა, რომ მეამბოხეთა დასათრგუნავად მივდივართო. ცენტრალ კომიტეტს კავკასიის ყველა კუთხიდან ცნობები მოსდის, რომ კორნილოვის გამოსვლამ ყველანი აღაშფოთა და აცხადებენ, რომ მზად ვართ რევოლუციის დასაცველადო. კავკასიის ყველა კუთხეში ტელეგრაფი და გზები რევოლუციონურ დემოკრატიის ხელშია.

ენკენისთვის 1

პირდაპირი მავთულით პეტროგრადიდან იტყობინებიან, რომ მოლაპარაკებაა ახალ სამინისტროს შედგენის შესახებაო. სულიერი განწყობილება ფხიზელი და შეუდრეკელია.

ენკენისთვის პირველს კავკასიის კომიტეტმა მოისმინა ყველა კუთხიდან მიღებული ცნობები კეთილ საიმედო მდგომარეობის შესახებ. კომიტეტმა დაამტკიცა დამტუსაღებელ კომისიის წინადადებანი. ღამით ახლად მოხდა დატუსაღება, რადგან გამოძიებამ აღმოაჩინა ბანკიდან გამოტანილი ახალი ძაფები. დანამდვილებით შეგვიძლიან ვსთქვათ, მოსალოდნელ შეთქმულობას თბილისში არავითარი იმედი არ უნდა ჰქონდეს გამარჯვებისა.

გენერალი ალექსეევი მივიდა მთავარ ბანაკში. უმაღლეს მთავარსარდლის შტაბის უფროსობა ჩაიბარა. ცნობილმა რეაქციონერმა გენერალმა კრიმოვმა რევოლვერით თავი მოიკლა. მთავარ ბანაკიდან პირდაპირი მავთულით იუწყებიან კორნილოვისა და ლუკომსკის ლაჩრობას. მთავარ ბანაკში უმაღლესი აფიცრობა სულით დაცემულია. მინისტრთა კაბინეტი ჯერ კიდევ არ შემდგარა. ადგილობრივი ორგანიზაციები საჭიროდ სცნობენ 1) სამხედრო-სარევოლუციო სასამართლოში იქმნენ მიცემული კორნილოვი და ყველა მისი მომხრე მოღალატენი, 2) განახლებულ იქმნას აფიცერთა შემადგენლობა, 3) გაუქმდეს აფიცერთა კავშირი და სხვა ორგანიზაციები რეაქციონერებისა, 4) განმტკიცდეს მხედრობის ორგანიზაციები და კომისარების გავლენა მხედრობაზე გაძლიერდეს, 5) გაბედული პოლიტიკა მთავრობისა მოღალატეთა აჯანყების ჩასაქრობად.

საოლქო სასურსათო თათბირი

მარიამობისთვის 30, ვ. ა. ხარლამოვის თავმჯდომარეობით, ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტმა სასურსათო საკითხზე ჰქონია თათბირი. კრებას დაესწრნენ კავკასიის ჯარის უფროსი ინტენდანტი გენ. ფილონოვი, მიწათ-მოქმედების მინისტრის კავკასიის სასურსათო საქმის მთავარ რწმუნებული ლ. ლ. ბიჩი, საგუბერნიო და საოლქო სასურსათო კომიტეტების თავმჯდომარენი. ბიჩმა მოხსენება წაიკითხა. გამოირკვა, რომ წრეულს ჩრდილო კავკასიაში სულ 130—140 მილ. ფუთი ხორბალი შეუკრებიათ. ახალ მოსავლამდის ჩრდილო კავკასიას 100 მილ. ფუთი დასჭირდება. ამიერ კავკასიას წრეულს რომ პური არ ეყოფა, ამაზე ლაპარაკიც მეტია. პურის გაყიდვა კი არავის არ სურს, ამიტომ საჭირო იქნება, რომ პურის მოხმარება ერთი მეოთხედით მაინც შემცირდეს.

თბილისის ბანკების შეწირულება

მუშათა დეპუტატების საოლქო ცენტრს სხვა-და-სხვა დაწესებულებებმა და პირებმა შეწირულება გაუგზავნეს. კავკასიის ბანკმა 2000 მან., აზოვ-დონის ბანკის განყ. 500 მ., პეტროგრადის საერთაშორისო კომერც. ბანკმა 500 მ., თბილისის თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკმა 200 მან., თბილისის ვაჭართა ბანკმა 500 მან., ვოლგა-კამის კომერც. ბანკმა 500 მ., თბილისის პირველ საკრედიტო საზოგადოებამ 200 მ., ვისოცკის და მის ამხანაგობის ფირმამ 500 მ., პუკინოვისა და ალიხანოვის ფირმამ 500 მ., სასტუმრო „ორიანტ"-მა 200 მან., „პალას-ოტელ"-მა 200 მ., სატ. „კავკაზ"-მა 200 მ., ძმ. პოპოვების ჩაით სავაჭრომ 200 მ., „ზედგინიძე" ფირმამ 400 მ., „ოტელ ნოი"-ს სასტუმრომ 250 მ., დ. ზ. სარაჯიშვილის ამხანაგობამ 500 მ., სასტუმრო „გრანდ-ოტელ"-მა 100 მ.

სომეხთა დარბევა ეკატერინოდარში

მარიამობისთვის 7 და 8-ს ეკატერინოდარში ბრბომ დიდი უწესოება მოახდინა. მიზეზად მანუფაქტურის ნაკლებობა გაუხდათ. დაარბიეს კერძო სახლები, განსაკუთრებით სომხებისა.

ამის გამო ეკატერინოდარის სომეხთა საზოგადოებამ ეკატერინოდარის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების აღმასრულებელ კომიტეტს შემდეგ პროტესტით მიმართა:

„ეკატერინოდარის სომეხთა საზოგადოების საერთო კრება პროტესტს უცხადებს აღმასრულებელ კომიტეტის იმ უმოქმედობას, რომელიც მან მარიამობისთვის 7 და 8-ს გამოიჩინა, როდესაც უმთავრესად სომხების წინააღმდეგ გამოილაშქრეს."

„ამ დღეებში შეესხნენ სომეხთა ეროვნულ განძს—ბრბომ საყდრისა და სკოლის კარები შეამტვრია და დაარბია, იმ საბაბით, თითქოს იქ საქონელი გვქონოდეს დამალული. იმისდა მიუხედავად, რომ პირველ გაჩხრეკის შემდეგ ვერც ეკლესიაში და ვერც საწყობებში გადამალული ვერა აღმოაჩინეს-რა და ამის გამო პროტოკოლიც შეადგინეს—ეკლესია კიდევ მეორეთ გაჩხრიკეს".

სომეხთა საზოგადოება აღშფოთებულია იმის გამო, რომ აღმასრულებელ კომიტეტმა არავითარი ზომები არ მიიღო ბრბოს შესაჩერებლად.

ჩემი დღიური

IV

კეხის-ჯვრის სკოლა.

ძლიერ მაინტერესებს ამ სკოლის ბედი-იღბალი. ოც წელიწადზე მგონი მეტია რაც გაიხსნა სოფელ კეხის-ჯვარში სკოლა იმ სახლში, რომელიც ააშენეს ნიკოლოზ ერეკლეს ძის ციციშვილის შეწირულ მიწაზე.

ოცი წელიწადი—კაი ხანია, რომ სკოლამ დაიმსახუროს სიყვარული და პატივისცემა ხალხისა. მაგრამ უწინ ისე იყო დამუხარი სკოლის საქმე საქართველოში, რომ არ ახალისებდა ხალხს, ან საზოგადოებასა, რომ რაიმე ინტერესი გამოეწვია.

ეს სრული ოცი წელიწადი იდგა კეხის-ჯვრის სკოლა ზემო და ქვემო კეხის-ჯვრების შუა, ცალკე, ორივე სოფელზე დაშორებული, საცოდავათ გამოყრუებული, იმიტომ, რომ ჩვენ ძამის ხეობაში სრულიად არ არის გა-

ჩადებული საზოგადოებრივი ცხოვრება. ვინც მცირე განათლება მაინც მიიღო—დიდი ხანია ქალაქებში დაიფანტნენ. არც იმისთანა ღვდელი გვაღირსა ღმერთმა, რომ იყოს ხალხის მზრუნველი. ამის მიზეზით მთელ ხეობაში—საცაა მრავალი სოფლები—არა ნახამთ ბიბლიოთეკას. ნატრულობენ ძველ გაზეთს, მეტადრე ეხლა, ომის დროს.

არც თითონ სკოლაა კარგ დღეში. კარი რომ შეაღოთ, გული მოგიკვდებათ: ჭუჭყისაგან გაშავებული კედლები, აქა იქ დამტვრეული იატაკი, ფეჩისაგან გაშავებული ბუხრის კედელი. ჭვარტლიანი ჭერი. თხუტმეტამდი სკამი, დაძველებული ბუნებისკარის სურათები, ანგარიში ორფეხიანი, შეადგენენ სკოლის ქონებას.

სკოლას არ აქვს ბიბლიოთეკა.

როცა საცოდავი შეგირდები მოდიან აქ თავის ბნელ ქოხებიდან, არა მგონია, რომ ამ მოწყობილებამ გული გაუღოს ბავშვს და მისცეს სწავლის ხალისი. იყო ერთი ღვთისნიერი მასწავლებელი, მგონი ლაზარეშვილი. იმან ლამაზათ შეღობა დიდი ზომის მიწა, ჩაჰყარა ხეები; მაგრამ მალე სხვაგან გადაიყვანეს, დაანება თავი კეხის-ჯვარს, სხვებმა აღარ უვლეს ყური სკოლას, მთელი ბაღი, სადაც შეიძლებოდა შეგირდებს სასოფლო ცოდნა მიეღოთ, ისე, ბალახათ მიდის.

განა თუ მარტო კეხის-ჯვარი, გარშემო სოფლებიდანაც ეტანებიან ამ სკოლასა, მხოლოდ უხიდობა აძნელებს საქმეს. ძამა ისე გადმოდება ხოლმე, რომ აქა-იქ გადებულ ხეებს მიათრევს და მაშინ ურემიც კი ვერ გაბედავს მდინარეში გასვლას.

ნამეტნავად უკან და უკან წავიდა ამ სკოლის საქმე ამ სამ წელიწადს.

როდესაც კი არ გამივლია—გზის ნაპირზეა ეს სკოლა—მუდამ ვხედავდი: ჩამტვრეული ფანჯრებით და ყირამალა დაყრილი სკამები აივანზე. კარ-მიდამოზე და ბაღში საშინელი სიჩუმე.

ამ სურათს წარმოადგენდა სკოლა ღვინობისთვეში, მარტში, მაისში.

თუ სოფლის ბავშვები ეხმარებიან დედ-მამას სექტემბერში, დეკემბერში რას აკეთებენ შინ?

მაშინაც დაკეტილი ყოფილა ეს სკოლა.

ნუ თუ ეხლაც ამ საცოდავ სკოლას არ მიაქცევენ ყურადღებას და არ გაამწესებენ იმისთანა პედაგოგს, რომელსაც უყვარს თავისი პატარა, მაგრამ დიდი მნიშვნელობის საქმე?

დ. ვედრებისელი.

კახეთში*)

ალავერდი. ბიბლიაში (იობი 30,12[1]) იხმარება ალავერდი, რომელსაც უდრის ბერძნული „ბლასტოს“—ростокъ; побѣгъ, молод. вѣтвь; отрасль. სლავურშიაც „ოტრასლია“. მაშასადამე, ალავერდი ყოფილა არა მარტო ძირკვ-მაგარი ალავერდა — ბალახი, არამედ ორძილიც, რტოც, მახხაც, ის, რაც უნდა აღმოსცენდეს, რამაც მკვიდრი ფესვები უნდა მოიბას და აღორძინდეს. ესრეთი სახელი კი სწორეთ უპრიანი იყო იმ საყდრისთვის, რომელიც დაარსა იოსებმა მილხინე ნაკადის ნაპირზე და რომელსაც კახეთში უნდა მოეფინა საქრისტიანო მოძღვრება, რომელსაც აქ სწორედ უნდა ეალავერდნა. და ასეც ხომ მოხდა: მცირე ორძილი ალავერდისა თანდათან იზრდა და თვის ჩრდილით დაჰფარა კახეთის ყველა მიდამო მის დანაშთენ საეპისკოპოსო საყდრებითურთ.

ალავერდის სახელისთვის ერის გადმოცემას მოუბამს ვიღაც ალავერდი-ხანის სახელიც (დავით გარეჯელის ცხოვრებაში მას ჰქვიან ბუზაქარი). ყაენის მიერ დაყენებული ხანი ჰლამის ამოულიტოს ქართველობა. მის შეელად დღე-დღეზე მოვა თვით ყაენიც. მამულიშვილებმა აღარ იციან, როგორ უშველონ საქართველოს. შიო თავადს გაუკრწყინებს საოცარი აზრი: სამშობლო უთუოდ დაიღუპება, თუ ქართველ ქალის შვენიერებამ არ მოხიბლა ალავერდი-ხანი.

— ჩემო ხორეშან, ეუბნება იგი მოწიწებით თავის შვენიერ ცოლს, შენ უნდა იხსნა საქართველო.

— მე, სუსტმა არსებამ?!

— არა შენ, შენმა შვენიერებამ.

— როგორ?

— შეიპარე ალავერდი-ხანის კარავში.

— ნამუსის წაბილწვას მირჩევ?!

— სრულიადაც არა. შვენიერ სამშობლომ შვენიერებით შეგამკო და მით რეტი დაასხვე ხანს.

— მივიხვდი. წავალ...

ომის წინა დღეს ხორეშანი გაჩნდა ალავერდი-ხანის ბანაკში. მის ენითგამოუთქმელ შვენიერებამ მოხიბლა ყველანი, ალავერდი-ხანს კი რეტი დაასხა. შეიპატიჟა კარავში. ქალის პირობა იყო ქართველების მხარე დაეჭირა ხანს წინამდებარე ბრძოლაში. დიდხანს არ თანხმდებოდა, ბოლოს დასთანხმდა. ქალმა დაიფიცა მაჰმადის წვერი და სთხოვა, შენი ნანადირევი რამ მაჭამეო. თან ამ პირობა-ლაპარაკში გათენდა. ალავერდი ხანი გავიდა სანადიროდ ალავერდის საყდრის მიდამოს (მისი ბანაკი თელავის ახლოს იყო). დაბოცეს ბევრი. აიშალნენ კაკბები. ხანმა მიუტია შიმინო და თვითონაც მიჰყვა. ეწეოდა შიმინო, რომ გაპირებული კაკაბი დაეშვა დაბლა და კალთაში ჩაუვარდა ბერს, რომელიც ხელებ-აღმართული ევედრებოდა ღმერთს. მოაჭენა ალავერდი-ხანმა, დაუყვირა, გამოაფრთხეო კაკაბი. ლოცვაში გართულს არც კი მიესმა მისი ხმა, დაუყვირა მეორედ, მესამედ და, რომ ვერა შეასმინა რა, დაჰკრა ლონივრად ხმალი, მაგრამ მყის მკლავი შეახმა. ახლა მხოლოდ მოხედა მას წმიდა ბერმა ალავერდისამ და ლოცვით განიკურნა ხელი.

მეორე დღეს დაუპირდაპირდნენ ქართველთ მეომრები ყაენისას. გამოჩნდა ალავერდი-ხანიც თავის რაზმით. ჯერ მიიმართებოდა ქართველების დასაკრავად, მერე უცებ პირი იბრუნა ყაენისკენ: გაიმართა საშინელი ბრძოლა, ჩეხა, კაფვა. გაიმარჯვეს ქართველებმა. სპარსნი მოშორდნენ საქართველოს. მაგრამ ბრძოლის ველზე იპოვნეს გვამი გმირის შიოსი. იქვე ნახეს დაჭრილი ალავერდ-ხანი და ვაჟურად გადაცმული გმირთ-გმირი მებრძოლი ქალი ხორეშანა. ალავერდი ძლივს ღა ფეთქავდა, იგი შეირთო ხორეშანმ ქმრად, მაგრამ მის ახალ ქმარს ჭრილობამ ბოლო მოუღო და ხორეშანა დარჩა ისევ შიო გმირის უბიწო ქვრივად.

მ. ჯანაშვილი.

---

*) ეს ნაწყვეტი შემთხვევით გამოჰკლდა ჩვენს წერილებს.

[1] საბას ვარიანტით.

კორესპონდენცია

სამაჰმადიანო საქართველოდან.

ბაქოელ თათართა მოქმედება. წრეულს სამაჰმადიანო საქართველოში მოვხვდი, ახალციხის მაზრაში. პირველად მივედი სოფ. ანდუღში, ამ სოფელში ბაქოელ თათრებს მოეწყვიათ თათრული საზოგადოება, და რამდენიმე თათარ მასწავლებელს, თავს უდვია ძალდობრივ ქართველ მაჰმადიანთათვის, როგორც ვაჟებისათვის, აგრეთვე ქალებისათვის თათრული ენის და წერაკითხვის შესწავლა, განმტკიცება სარწმუნოებისა, და ამავე დროს ეროვნული გრძნობის გაღვიძება რომ, ვითომც ისინი თათრები არიან და ქართველობა, როგორც მათ სთვლიან ეს მოგონილია, შორეულ წარსულს ეკუთვნის და რახან სარწმუნოება მუსულმანური აქვთ, ამიტომ ესენი ნამდვილი თურქები არიან. ამათ მუშაობას ნაყოფიც გამოუღია, ბლომათ მიუზიდავთ ახალგაზდობა და მუშაობაც გაჩაღებული აქვთ. ქალებს ასწავლიან განსაკუთრებით თათრულად. ძალდობრივ ქართველი მაჰმადიანი ქალი მასწავლებლები, რომელთაც ბაქოელ თათარ ქველმოქმედთა წყალობით ბაქოში დაუმთავრებიათ იქაური თათარ ქალთა ინსტიტუტი, დღეს იმდენათ გაფანატიკებულან რომ, თავიანთ თავს თურქებათ სთვლიან და ფანატიკურ მუშაობას მეზობელთა შორის ეწევიან და აი ამ ბაქოდან მოსულ მასწავლებელთ და საერთოდ თათრული სულის მატარებელთ, ხელს უწყობს ერთი ადგილობრივი ცხოვრება. ამათ განუზრახავთ ახალციხის მაზრის, აჭარისა და არდაგანის ოლქის მოლების, ორი თვით ვითომდა თათრულის სასწავლებლად მოწვევა, როგორც ამბობენ აჭარის მოლებმა უარი შემოუთვალეს, ჩვენ თქვენი სწავლება არ გვინდაო, არდაგანის ოლქის მოლებმაც იუარეს, ჩვენთვის ქართველებს სიკეთის მეტი არაფერი არ დაუშავებიათ და თქვენთან გასანათლებლად ვერ გავხლებითო, მხოლოდ მშიშარა და ჯიბრობით ბნელს ახალციხის მაზრის მოლებს შეუსრულებიათ ეს მათი მოწყალება და ორმოცამდის მოლას მოუყრიათ თავი ამ ზაფხულში გასანათლებლად, რომ მერე თავიანთ თავის განათლების შემდეგ მოეფინებიან სოფლებს და აწყურში ბაქოელ თათართაგან შეძენილი ცოდნა მოსდონ თავიანთ მრევლებს.

აი ამ სამკალ ქვეყანაში სადაც არავითარი ქართული სული არა ტრიალებს, ბაქოელ თათრებს გაუჩაღებიათ მუშაობა და ლამის არის ფეხი ისე მკვიდრათ მოიკიდონ რო ისედაც გაფანატიკებული ხალხი მთლად ჩამოაშორონ ქართველობას. ამ სოფელში სამი სკოლა არსებობს. ერთი საეკლესიო და ორიც სამინისტრო, ვაჟებისა და ქალებისათვის. ამ ოთხი ხუთი წლის წინედ ამ სკოლებში რაღაც შემთხვევით ქართველი მასწავლებლები მოხვდნენ, ქალების განყოფილებაში იყო მასწავლებლად დანიშნული, აწ უდროოთ გარდაცვლილი ნინო ხმალაძე, რომელთანაც ქართველი მაჰმადიანი ქალიშვილები დიდი ხალისით სწავლობდნენ ქართულსა. ეს ამბავი გაიგო ინსპექტორმა სემიონოვმა, რომელმაც უცებად შესწრობილ სწავლის დროს, კლასში მოწაფეთა თვალწინ, ფეხების ბრახუნით და სასტიკის აღკრძალვით დასტუქსა საწყალი ქალი, ამის შემდეგ მასწავლებელი ნინო ხმალაძე გარდაიცვალა და ქალთა სკოლაში აღარავინ მოხვდა ისეთი გაბედული, რომელსაც ეტვირთა ეს საშიში საქმე და უდროოთ ჩაქვდა ჩუმად დაწყებილი სასარგებლო საქმიანობა. მხოლოდ საერობო სკოლაში სადაც მეტ ნაწილად ქართველი მაჰმადიანი ბავშვები სწავლობენ, არის მასწავლებლად პატივცემული მღვდელი მამა ეფრემ ინასარიძე, რომელიც არავის უშინდებოდა და ქართულს როგორც წინედ ისე ეხლაც ასწავლის, რისთვისაც წერა-კითხვის საზოგადოება უგზავნიდა ხოლმე ქართულს წიგნებსა, კარგს იზამს წ. კ. საზოგადოება თუ წელსაც რვეულებს, დედა-ენას, ბუნების კარს და საკითხავ წიგნებს გაუგზავნის მამა ეფრემ ინასარიძეს.

ქართველების მეცადინეობით დღეს ორი ნიჭიერი ბავშვი იზრდება, ფიზუდა გვარამაძე—ქართულ გიმნაზიაში და მეორე ქალი, რომელსაც ზრდიდა თავის სკოლაში ელენე თარხან-მოურავის ქალი თავის ხარჯით, ეხლა ამ ბავშვს სჭირია კიდევ გაწინამძღვრება, თორემ გახდება ასხვერპლი ბაქოს თათრული ინსტიტუტისა.

ასეა თუ ისე ქართველმა საზოგადოებამ უნდა იღონოს რამე და ყველგან, იქ, სადაც ბაქოელი თათრები სამაჰმადიანო საქართველოში კულტურულ მუშაობას დაიწყებენ და ჩვენც მსწრაფლ უნდა გავჩნდეთ და გვერდში ამოუდგეთ ჩვენს დაკარგულ მოძმეებს. სოფელი აწყური ცენტრია ახალციხის მაზრის ერთი ნაწილისა და იქ, ვინც ფეხს მოიკიდებს, ეს კუთხეც იმას გაჰყვება, ეს იციან ბაქოელმა თათრებმა და აკი მიტომაც ენერგიულ მუშაობას ეწევიან. ამის შემდეგ მე გავემგზავრე სხვა მაჰმადიან ქართველსოფლებში, ხალხი ყველგან კარგად მხვდებოდა, ქართველებს სიყვარულით იგონებენ და ჩვენგან ყოველთვის დახმარებას მოელიან. მხოლოდ ცოტაოდენი ნაყოფი გამოუღია ცნობილი მაზრის უფროსად ნაყოფის გუდიევის პროვოკაციას, რომლის დაჭერამაც ხალხში აღელვება გამოიწვია, მაგრამ შეგნებულთა წყალობით საქმემ მშვიდათ ჩაიარა. დღევანდელი მოძრაობის შესახებ ხალხი ყრუთ არის, არავითარი წარმოდგენა არა აქვთ ამ ამბებზე და ყოველთვის ახალ მოსულს ეკითხებიან ახალი ფადიშახი (მეფე) ნიკოლას მაგიერ ვინ არისო. ასეა თუ ისე ხალხი დიდ სიბნელეში იმყოფება, არც ერთ პროპაგანდისტს ფეხი არ შეუდგამს, გარდა ერთი ს. მ.-სა, რომლის აგრარული პროგრამის ახსნასაც სოფელ ტოლოში მკვლელობა მოჰყოლია. მოკლულ იქმნა აგრარულ ნიადაგზე, მეოთხე კლასის მოწაფე ხიდირბეგიშვილი, ქართველი მაჰმადიანი. ძლივს ძლივობით შეხვდებით ქართველ მაჰმადიან ბავშვებს სასწავლებლებში და მათ რიცხვს ეს ახალგაზდაც გამოაკლდა. ქართ. საზოგადოება, ვალდებულია ამ მხარეს რიგიანი მოქადაგეები მოჰფინოს, რომელთა ვალდებულებაც იქნება დღევანდელი მდგომარეობის ახსნა განმარტება, ქართული სულის ჩაბერვა.

ჩვენი ვალდებულებაა ამ მხარეს სიფხიზლით მოვეკიდოთ, ეს მხარე ჩვენგან რაღაც ახალს მოელის და ჩვენის წინდაუხედაობით საქმეს ნუ გავაფუჭებთ.

იასონ კერესელიძე.

ქართლიდან

ს. ერედვი. ჩვენში წელს გლეხი კარგი მოსავლის მოლოდინში იყო, მაგრამ კალომ იმედი გაუცრუვა. ერედვის სახნავი მამული, მიუხედავად იმისა რომ ურწყავია, მეზობელ სოფლების მამულებთან შედარებით, უფრო მეტს და ღირსებითაც უკეთეს პურს იძლევა. ერედვის პური გორის მაზრაში განთქმულია და კარგი გასავალიც აქვს ბაზარზე, ამის გამო აქაური გლეხი უმთავრესად პურის მოსავლით სცხოვრობს. წელს, ამ საშინელ სიძვირეში, ჩვენ გლეხს ცხოვრების ეს უკანასკნელი სახსარიც გამოეცალა ხელიდან. ქვენა ქარმა უდროოდ გასწრაფა ყანები და თუ დღიური მიწა წინად 4—5 ურემ ძნას იძლეოდა, ხოლო ურემს 3—4 კოდი გამოდიოდა, წრეულ დღიურზე 2—3 ურემი ძლივს დგება და ურემი 1—2 კოდს ძლივს იძლევა.

მაგრამ ბედნიერი იქნებოდა ჩვენი გლეხი, რომ ნაკლები მოსავლის მეტი არა აწუხებდეს რა მას. შიმშილით არავინ მოკვდებაო—ყოველთვის იმედით ამბობს იგი; ხოლო ეხლანდელი მისი გამოურკვეველი მდგომარეობა და უიმედოთ უარესი მომავლის მოლოდინი უმწარებს გლეხს ისედაც გამწარებულს და ტანჯულ ცხოვრებას. მართლაც და გამოურკვეველია გლეხის ეხლანდელი მდგომარეობა მაგალითად ყოველგვარ გადასახადების მხრივ. ჩვენი გლეხი მართალია გაზეთებს არ კითხულობს, (სკოლა და სამკითხველო არ არის ერედვში) იგი არ იცნობს მინისტრ ჩერნოვის მრავალ რიცხოვან განცხადებებს, რომლებითაც მინისტრი ყველას მშვიდობიანობისკენ მოუწოდებს, ხოლო ამის გულისთვის ბრძანებს, რომ წრეულ ყოველგვარი გადასახადი—ღალა ისევე უნდა იყოს გასტუმრებული, როგორც აქამდის ყოფილაო.

ჩვენი გლეხი ამას გაზეთებში არ კითხულობს, მაგრამ თავის გონებით და და გამჭრიახობით მივიდა იმ დასკვნამდის, რომ თითონვე, არა ერთხელ, გამოაცხადა: წრეულ, შენი ჭირიმე, ღალა ისევ ისე უნდა მივცე მემამულეს, როგორც აქამდის მიძლევიაო. მერმის კი რასაც საყოველთაოდ გადასწყვეტენ ხალხის წარმომადგენლები დამფუძნებელ კრებაზე მეც ისე მოვიქცევიო. იმ გადაწყვეტილებას ვერც მემამულე წაუვა სადმე და ვერც გლეხიო.

ასე ამბობდა გლეხი მანამ კალოს გამართავდა. გაჩნდა კალოობა და აირია კიდეც მონასტერი. აქაურ კომიტეტებს თურმე არ მოეწონათ არც დროებითი მთავრობის ბრძანება, არც თითონ გლეხების ზემოდ მოყვანილი სურვილი და თითონ გამოსცეს თავიანთი დადგენილება ღალების შესახებ. ეს დადგენილება პატარა ბარათების სახით ხელიდან ხელში გადადიოდა და ყველას ერთ და იმავეს ეუბნებოდა: იმ მემამულეს, რომელსაც აქვს გაცემული მამული 1—12 დღიურ მდის, როგორც გაუცია ისევე უნდა აიღოს ღალა, ვისაც 1—30 დღიურამდის აქვს იმან უნდა მეექვსედი აიღოს, ხოლო ვისაც 30 დღიურზე მეტი აქვს გაცემული იგი მეათედის აღებით უნდა დაკმაყოფილდესო.

ჩავარდა უბედური გლეხი დიდ საფიქრებელში; აღარ იცის ვის დაუჯეროს კომიტეტისა და კომისარის ბრძანებას თუ თავის საკუთარ გონებას, ზოგიერთს აქამდის არ გადუწყვეტია ეს საჭირ-ბოროტო საკითხი, სწორედ რომ ვთქვათ არც დააცალეს ამაზე ფიქრისთვის. წარსულ კვირას ერედვში მოვიდნენ რუსი ჯარის-კაცები, ორი მილიციონერები და მეტად აარ-დაარიეს, ისედაც აწეწილი სოფელი. მოსულებს უნდა ჯარიდან გამოქცეული სალდათები წაეყვანათ აქედან. იმედი გვქონდა, რომ მოსული მილიციონერები ღირსეულად და მშვიდობიანად მოექცეოდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებს, მაგრამ მათ თავიანთი მამაცობით ძველ პოლიციელებს გადააჭარბეს. რამდენჯერმე სროლა ასტეხეს, მათრახებით კაცები გაამათრახეს, სცემდნენ ყველას განურჩევლად წლოვანებისა, მათ შორის ბევრი იყო 16—17 წლისა.

ასეთი არევ-დარევა ჰქმნის გლეხის იმ აუტანელ გამოურკვეველ მდგომარეობას, რომელიც მომავალზედა არა ერთ მწარე ფიქრს უღვიძებს მას. კარგი იქნება და საჭიროც არის, რომ სოფლის ასეთ უმწეო მდგომარეობას ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ იმათ ვინც ეხლა საზოგადო საქმეების მართვა გამგეობის სათავეში უდგიან და ცოტათი მაინც შეუმსუბუქონ გლეხს აწინდელი გაჭირვება.

განჩიელი.

ღია წერილი

ქალაქის ხმოსნებს.

რუსეთის რევოლუციამ აღამაღლა ჩვენი თანამემამულენი—კარლო ჩხეიძე და აკაკი წერეთელი—თუ რევოლუცია მათ ამაღლებს—ეს ახლა ჩვენ არ გვაინტერესებს. ამას უთუოდ პირუთვნელი ისტორია გამოარკვევს...

ჩვენი ინტერესის საგანს შეადგენს ამ ჟამად—როგორ უნდა აღნიშნოს ხალხმა, დემოკრატიულმა საზოგადოებამ ამ ორ დიდ, დემოსისათვის თავდადებულ, მებრძოლთა სახელი.

ეჭვს გარეშეა, თუ კი სოლოლაკელთა საბჭომ სხვა და სხვა „მოსაზრებით“ კარლო ჩხეიძეს საპატიო მოქალაქის დიპლომი შესთავაზა, ხალხის საბჭო, ყოველივე ამნაირ მოსაზრებას მოკლებული, უკეთესად შესძლებს მათ დაფასებას, ეს ცხადია. მაგრამ ამ სტრიქონების დამწერს სასურველად მიაჩნია **მყისვე** აღნიშნოს ამ გმირთა ღვაწლი მცირედით მაინც. და ამ მცირედათ ჯერჯერობით შეიძლება ჩაითვალოს აი რა:

გოლოვინის პროსპექტს დაერქვას კარლო ჩხეიძის პროსპექტი და მიხაილოვის პროსპექტს—აკაკი წერეთლის პროსპექტი.

მართალია, მათ სახელის პოპულიარიზაციისათვის ეს უთუოდ მეტია, მაგრამ ეს ჩვენი ვალია და, იმედია, ჩვენი საბჭო ბევრს არ დაიგვიანებს და მალე განახორციელებს ამომრჩეველთა ამ სამართლიან სურვილს.

ს. ა.

კალენდარი

კვირა ენკენისთვის

3

კვირა 15. ხმა 6.

ქართვ. წმ. მღვ.-მოწ. ანთიმოსი ნიკომიდიელ ეპისკოპ. და ღირს. თეოქტისტესი; თანამზრახვ. დიდისა ევთიმისა.

კათოლ. სერაფიმა და ბრონესლავისა.

მაჰმად. ექ-შაბბე 29 რ. ზულყადე 1335 წ. ჰიჯრისა.

ებრაელ. ივრიშონ 29 რ. ელულ 5677 ქვეყ. შექმ.

ორშაბათი ენკენისთვის

4

ქართვ. წმ. მოწ. ბაბილასი, დიდისა ანტიოქიელ ეპ. და წმ. წინასწ. მოსესი.

კათოლ. წმ. როზალისა და ნუმიდესი.

სომხ. ანდრია მხედრისა და მის მხედრობათა.

მაჰმად. დუ-შაბბე 30 რიც. ზულყადე 1335 წ. ჰიჯრისა.

ებრაელ. იომშენი 1 რ. თიშრისა ახალი წელიწადი 5678 წ. ქვ. შექმ.

წერილი რედ. მიმართ

[illegible]

მოქალაქე რედაქტორო!

გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთ „საქართველოს“ ერთ-ერთ მახლობელ №-ში მოათავსოთ ქვემო მოყვანილი სია იმ პირთა, რომელთაც თავისი წვლილი გაიღეს დამსახურებულ მსახიობის და ცნობილ საზოგადო მოღვაწის ვალერიან გუნიას მოხუცებულების უზრუნველ-საყოფელ ფონდის გასაძლიერებლად:

ინჟ. ანტონ კაის. ჯაფარიძემ 20 მან., ნ. გ. პეტრიაშვილმა 15 მ., ა. მეფარიძემ 5 მ., კ. ოდიშარიამ 10 მ., დ. ამაშუკელმა 5 მ., იაკობ ახვლედიანმა 50 კ., გიორგი ხანძემ 1 მ. 50 კ., ივანე მამულაშვილმა 1 მ. 50 კ., ი. კოპალეიშვილმა 3 მ., კალისტ. მენაბდემ 2 მ., გ. სალარიძემ 21 მ. 50 კ., სულ 85 მანეთი.

უმორჩილესად ვთხოვ რედაქციას, აღნიშნულ ფულთან ერთად, გადასცეს ჩვენი, ცოტა არ იყოს დაგვიანებული, სალამი ღრმად პატივცემულ მოღვაწეს—ვ. გუნიას.

გ. ნ. სალარიძე.

დ. არტაანი.

რედაქტორი **გრიგოლ ვეშაპელი.**

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თბილისის)

თბილისიდან გადის:			
ბათუმისკენ	სწ.	№ 3,	11.03 დილ.
„	სამგზ.	№ 9,	11.43 საღ.
ბორჯომისკენ	სამგზ.	№ 19,	8.20 დილ.
„	„	№ 17,	8.27 დილ.
გორისაკენ	სამგზ.	№ 61,	9.10 დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	9.20 დილ.
„	სამგზ.	№ 8,	8.54 დილ.
„	სწ.	№ 4,	9.23 საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-8,	11.1 საღ.
თბილისში მოდის:			
ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	7.51 დილ.
„	სწ.	№ 4,	8.33 საღ.
ბაქ.-ბათუმ.	სამგზ.	№ 20,	7.43 დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.13 საღ.
გორიდან	სამგზ.	№ 62,	6.31 საღ.
ბაქოდან	სწ.	№ 3,	10.06 დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.13 საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	10.40 საღ.
ყარს-ჯულფ.	სამგ.	№ 3***,	8.10 დილ.

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

კომერციულ ცოდნათა
კურსები
ტ. მ. ფილოიანისა
ორივე სქესისთვის
(თბილისი, მიხეილის პროსპ. № 24, ტელ. № 976).

თხოვნები მიიღება: 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბერს. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.

თ—734—13

საავადმყოფო
სამხედრო ექიმ სპეციალისტებისა მოსიარულე ავადმყოფებისთვის:
დიდი ვანქის ქუჩა № 8. ალექსანდროვის ბაღის ახლო, ტელეფონი 481.
ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 6 საათამდე.

ბელაშვილი—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ღებულობს 10—12 ს. ყოველდღე
გუგნაძე—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ახპიხოვი—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—3 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
ფირალოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
შონია—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.
ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1 საათ. ხუთშაბ. და კვირაობით
ბეგზადოვი—ქალთა და საზეიო ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
იოხელიანი—ქალთა და საზეიო ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. და პარ. 11—12 ს.
ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
დევკანოზოვი—ქალთა ავად. სამშაბათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
ტრაიცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე
ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
ზაგდოევისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
ადიხანოვისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.

100—667—57

თამბაქოს მრეწველნი
ძმ. მიქველოვები
ქუთაისის ქუჩა, [illegible], № 3, ტელეფონი № 112.

[illegible] (წ.)

სტამბა „[illegible]“ [illegible] № 4

გამომცემელი ამხანაგობა „საქართველო“